ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 140 (2254) სამშაბათი, 16 ივლისი, 1996 წელი. ფასი 30, თბილისის გარეთ 35 თეთრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მსოფლიო მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მისი საზღვრების შეუვალობას, აფხაზეთის სტატუსის საკითხის მხოლოდ და მხოლოდ ერთიანი საქართველოს ფარგლებში გადაწყვეტას"

— დღევანდელ ინტერვიუს ეკონომიკის თემით არ დავიწყებთ, რადგან გასულ კვირაში აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით უაღრესად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო მიღებული. ქრონოლოგიურად რომ ჩამოვყვეთ, შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის თემა საერთოდ მეტნაკლებად განიხილებოდა განვლილ კვირაში, ვგულისხმობ სხვადასხვა პრესკონფერენციაზე გაკეთებულ განცხადებებს. შემდეგ, გასულ კვირაში გაიმართა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს აფხაზეთში მოწესრიგების სრულმასშტაბიანი პროგრამა და, რაც მთავარია, გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელზეც მიიღეს განსხვავებული აქცენტებისა და, შეიძლება ითქვას, განსხვავებული ტონალობის რეზოლუცია. ამაზე ექსპერტებმა ილაპარაკეს. ალბათ, ძალიან საყურადღებოა ერთი მომენტი: როგორც ბატონმა პეტრე ჩხეიძემ ბრძანა, განხილვის პროცესში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ სეპარატისტები დღეს დამოუკიდებლობისა და გამოყოფისათვის იბრძვიან, მაგრამ მათ ამის იმედი ნუ ექნებათ, ეს არასოდეს არ მოხდებაო... — ამ თემაზე საუბრით დაიწყო საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თავისი ტრადიციული რადიოინტერვიუ ჟურნალისტ ნატო ონიანთან.

— მე შევეხები უშიშროების საბჭოს სხდომას. რეზოლუცია, რომელიც 12 ივლისს მიიღეს ნიუ-იორკში, კიდევ ერთი ეტაპია აგრესიული სეპარატიზმის იზოლირებისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გზაზე. რეზოლუცია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ალმავლობითი ხასიათისაა, რასაც ადასტურებს ამ დოკუმენტის მეტი პრინციპულობა, შეფასებათა და მოთხოვნათა მეტი კატეგორიულობა. უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მომზადებასა და მიღებაში უდიდესი როლი შეასრულეს საქართველოს მეგობარი ქვეყნების — უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების დელეგაციებმა (მათ არ ჩამოვთვლი, ეს ყველასათვის ცნობილია), და, აგრეთვე, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, რომელიც არ არის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, მაგრამ ამ საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორია.

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემის გათვალისწინებით. საბჭო გასაოცარ შეშფოთებას გამოთქვამს აფხაზეთში, კერძოდ, გალის რაიონში მოსახლეობის უსაფრთხოების გაუარესების გამო. უშიშროების საბჭო სავსებით სამართლიანად გამოთქვამს შეშფოთებას მოლაპარაკების პროცესში აფხაზთა უკომპრომისო პოზიციის გამო. ხაზგასმულია ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა უფლება — უსაფრთხო პირობებში დაუბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს. საბჭო გმობს აფხაზთა მოქმედებას ლტოლვილთა დაბრუნების სისტემატური ჩაშლისათვის. ისიც არის ნათქვამი, რომ ლტოლვილთა დაბრუნების აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირება მიუღებელია. ამას ვიმეორებ რამდენჯერმე, რადგან ჩვენ ცოტა სხვა მიდგომა გვქონდა, და მიგვაჩნია, რომ ეს პარალელური პროცესია. უშიშროების საბჭომ ამას განსაკუთრებით გაუსვა ხაზი. დაბრუნების გრაფიკის შედგენა და მისი შესრულება აუცილებელია.

უშიშროების საბჭო ერთხელ კიდევ იმოწმებს ბუდაპეშტის უმაღლესი დონის შეხვედრის გადაწყვეტილებებს და ადასტურებს, რომ მიუღებლად მიაჩნია კონფლიქტის შედეგად გამოწვეული დემოგრაფიული ცვლილებები. გახსოვთ, ალბათ, ბუდაპეშტის შეხვედრის განცხადება-რეზოლუცია, რომელმაც აღიარა ეთნოწმენდა აფხაზეთში. ახლა ლაპარაკია იმაზე, რომ ამ ეთნოწმენდის შედეგად გამოწვეული დემოგრაფიული ცვლილებები სრულიად მიუღებელია უშიშროების საბჭოსა და მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის. დაგმობილია ეთნიკური მკვლელობანი და მასთან, ესე იგი, ეთნიკურ მომენტთან დაკავშირებული ძალადობის აქტებით მოსახლეობის გამოყვება. დგას საკითხი, რომ აუცილებელია გაიხსნას სოხუმში ადამიანის უფლებათა დაცვის შტაბ-ბინა. უაღრესად მნიშვნელოვანია დებულება — განხილულ იქნეს საკითხი, რომ ტექნიკური და ფინანსური დახმარება გაეწიოს აფხაზეთსა და საქართველოს, კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების შემთხვევაში რეკონსტრუქციისა და აღდგენისათვის. ეს სტიმულია იმისათვის, რომ მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესში ჩაებას არა მარტო დევნილი მოსახლეობა, არამედ აფხაზეთში დარჩენილი მოქალაქენიც, რომლებიც დაინტერესებულნი უნდა იყვნენ შერიგების პროცესის დაჩქარებით, რადგან ამას მოჰყვება მათი ცხოვრების დონის სწრაფი გაუმჯობესება.

ერთხელ კიდევ შევახსენებთ, რომ აფხაზეთის კონფლიქტი მთელი საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. უშიშროების საბჭოს 14 რეზოლუცია, უშიშროების საბჭოს სხვა გადაწყვეტილებები, ევროკავშირის უმაღლესი დონის შეხვედრების რეზოლუცია, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ალმათის უმაღლესი დონის შეხვედრის მემორანდუმი აგრესიული სეპარატიზმის შესახებ (ამაზე მე ბევრი ვილაპარაკე), ამავე ქვეყნების მოსკოვისა და მინსკის შეხვედრებზე მიღებული კატეგორიული განცხადებები და ზოგიერთი სხვა იმაზე მიუთითებს, რომ მსოფლიო მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მისი საზღვრების შეუვალობას, აფხაზეთის სტატუსის საკითხის მხოლოდ და მხოლოდ ერთიანი საქართველოს ფარგლებში გადაწყვეტას.

ყოფილი იუგოსლავიის მაგალითი იმაზე მეტყველებს, რომ მსოფლიო მზად არის კონფლიქტების და ომის ხანძრების ჩასაქრობად მიიღოს გადამწყვეტი ზომები კონცენტრირებული შეიარაღებული ძალების გამოყენების ჩათვლით. ყველას ვთხოვ, ჩაუფიქრდნენ ამას, და განსაკუთრებით ჩაუფიქრდნენ აფხაზეთში. აგრესიული სეპარატიზმის ტალღა, რომელმაც ამდენი ტკივილი მოუტანა ხალხებს, აუცილებლად ჩაქრება და სამართლიანობა აღდგება. ეს პროცესი უკვე დაიწყო. საჭიროა დაუყოვნებლივ განახლდეს მოლაპარაკების პროცესი. ამ მხრივ, მე მივესალმები რუსეთის ხელისუფლების წინადადებებს და შეიძლება ამ დღეებში კიდევაც დაიწყოს. სათანადო მომზადების შემდეგ რეალურია მრავალმხრივი და ორმხრივი შეხვედრები, მათ შორის, ჩემი მონაწილეობითაც. მზად ვარ უახლოეს დღეებში შევხვდე ლუდვიგ ჩიბიროვს, რომელიც მზად არის ასეთი შეხვედრისათვის. შეხვედრის ადგილის თაობაზე, ალბათ, მოვილაპარაკებთ. დარწმუნებული ვარ, რომ უმოკლეს დროში დაიწყება ინტენსიური ქართულ-აფხაზური მოლაპარაკება, მათ შორის, ჩემი მონაწილეობითაც. ამასთან მინდა დავაზუსტო, რომ ყველა შეხვედრისა და ყველა მოლაპარაკების მთავარი საგანი დევნილი მოსახლეობის უპირობო დაბრუნება და მათთვის უსაფრთხო ცხოვრების პირობების შექმნა უნდა იყოს.

და კიდევ ერთი რამ უნდა დავუმატო: რა თქმა უნდა, თუ მოლაპარაკების პროცესი შედეგს არ მოიტანს, ჩვენ კი ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ შედეგი მოიტანოს, პოლიტიკური მოწესრიგების ყველა რეზერვი ამოიწუროს, საქართველო, რომელიც ახლა სხვა სახელმწიფოა, ვიდრე ამ რამდენიმე, თუნდაც ორიოდე წლის წინათ იყო, იზრუნებს, სხვა გზებითა და სხვა მეთოდებით აღადგინოს თავისი სახელმწიფოებრივი და ტერიტორიული მთლიანობა.

(დასასრული მე-2 გვ.).

მცხეთა, 13 ივლისი, სვეტიცხოვლობა, ნათლობა

ბესიკ კეზერაშვილის და გიორგი ცაგარლის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გაერო აგრძელებს სამშვიდობო მისიას

აფხაზმა ლიდერებმა ხალხი ლატაკი და უსასოო ცხოვრებისთვის გასწირეს

12 ივლისს, დილით დასრულდა გაეროს უშიშროების საბჭოს დახურული კონსულტაციები და ღია სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია სამხედრო მეთვალყურეთა მანდატის გაგრძელების შესახებ

გუშინ რედაქცია დაუკავშირდა გაეროში საქართველოს წარმომადგენელს პეტრე ჩხეიძეს, რომელმაც ფაქსით გადმოგვცა:

საქართველოს მეგობრების ჯგუფის მიერ შემუშავებული პროექტის ტექსტი უცვლელად იქნა მიღებული და დღეს ქვეყნდება. საერთო შეფასებით, მიღებული რეზოლუცია მძაფრია და სერიოზული პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს სუვერენული უფლებების ხელშეუხებლობის კიდევ ერთხელ დადასტურებასთან ერთად, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ ჩამოყალიბებული ფორმულირება, რომელიც ნათლად განსაზღვრავს მის ადგილს საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში და ამ საკითხზე მსჯელობის ამოსავალ პრინციპს წარმოადგენს.

ამასთან ერთად, ხაზგასმულია, რომ აფხაზეთის მხრივ ნებისმიერი სხვა მოქმედება, რომელიც ამ პრინციპს ეწინააღმდეგება, მიუღებელია.

დაგმობილ იქნა აფხაზთა წინააღმდეგობა ლტოლვილთა დაბრუნების პროცესის მიმართ და ხაზი გაესვა ამ პროცესის რეგიონის პოლიტიკურ სტატუსთან ნებისმიერი სახით დაკავშირების მიუღებლობას.

საბჭომ საერთაშორისო საზოგადოებრიობას მოაგონა გენოციდის შესახებ ბუდაპეშტის შეხვედრის დასკვნები და დაგმო კონფლიქტის შედეგად დემოგრაფიის ხელოვნურად შეცვლის მცდელობა, ეთნიკური მკვლელობებისა და ამ ნიადაგზე მომხდარი ძალადობის ფაქტები.

ხაზი მინდა გავუსვა ერთ გარემოებას: სხდომის დაწყებამდე, მის შემდეგაც საბჭოს წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა მთხოვეს გადმომეცა მათი მთავრობებისა და პირადად მათი დასტური საქართველოს პრეზიდენტისადმი ღრმა პატივისცემისა და თანადგომის მზადყოფნის შესახებ.

ეს დადასტურდა მათ გამოსვლებშიც, რაც, ვფიქრობ, ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ვითარებისადმი საერთაშორისო მიდგომის დაფიქსირების თვალსაზრისით.

სხდომაზე გამოვიდა საბჭოს ყველა წევრი და ირლანდიის, როგორც ევროგაერთიანების თავმჯდომარე ქვეყნის წარმომადგენელი.

გამომსვლელებმა, პოლიტიკურ შეფასებებთან ერთად, ხაზი გაუსვეს ადამიანურ ტრაგედიას, რომელსაც კონფლიქტის გაჭიანურება კიდევ უფრო ამძაფრებს: ყურადღება გამახვილდა ედუარდ შევარდნაძის წინადადებებზე აფხაზეთის სტატუსის შესახებ, როგორც კონსტრუქციული მიდგომის მაგალითზე. ყველამ მკაცრად დაგმო აფხაზი ლიდერების ობსტრუქციული პოზიცია, დაადასტურა საქართველოს სუვერენული უფლებების შელახვის მცდელობის უპერსპექტივობა.

გამომსვლელებმა მხარი დაუჭირეს საქართველოს პრეზიდენტის იდეას საგანგებო ფონდის შექმნის შესახებ, რომელიც აფხაზეთის რეგიონის აღორძინებას უნდა მოხმარდეს.

ორატორებმა ხაზი გაუსვეს თავიანთი მთავრობების, საერთაშორისო საზოგადოებრიობის შეშფოთებას ტერიტორიის დანაღმვისა და მეთვალყურეთათვის შექმნილი საფრთხის გამო.

ამასთანავე, ირლანდიის წარმომადგენელმა, რომელიც ევროგაერთიანების სახელით სხდომაზე პირველი გამოვიდა, კერძოდ, აღნიშნა, რომ მისთვის შეუვალი პრინციპია საქართველოს სუვერენული უფლებების უზრუნველყოფა, და არ დაუშვებს ამ პრინციპის დარღვევას; მიუთითა, რომ საჭიროა სერიოზულად ვიფიქროთ ჩადენილი დანაშაულობებისათვის კონკრეტულ პირთა გასამართლებაზე.

გერმანიის წარმომადგენელმა აღნიშნა მეგობარი ქვეყნების დემარშისადმი არადამაკმაყოფილებელი გამოხმაურება აფხაზი ლიდერების მხრიდან. მან დაახასიათა როგორც დანაშაული ლტოლვილების ბედის საკითხის დაკავშირება აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსთან: „აფხაზებმა უნდა გაიგონ, რომ საქართველოს ერთიანობა შეუვალ პრინციპს წარმოადგენს", ხაზი გაუსვა მან.

ჩილეს წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა აფხაზებისათვის შეთავაზებული პოლიტიკური მოდელის უპრეცედენტობაზე, რომლის უარყოფა საერთაშორისო ნების წინააღმდეგ წასვლის ტოლფასია.

ჩინეთის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მსოფლიო შეშფოთებულია კონფლიქტის მოუგვარებლობით და სეპარატისტთა უკომპრომისო პოზიციით, რომელიც საერთაშორისო მოთხოვნათა პრინციპს ეწინააღმდეგება, მიუთითა

(დასასრული მე-2 გვ.)

„მხედრიონის" თარეში საქართველოში

„1991 წლის 4 ნოემბერს ყველა ბრალდებულს, მათ შორის, ჯაბა იოსელიანს, გამოეცხადა წინასწარი გამოძიების დამთავრება და საქმის მასალები წარედგინა გასაცნობად.

გამოძიების პროცესში დადგინდა: ჯაბა იოსელიანმა ჩაიდინა ბანდიტიზმი, ე.ი. შეიარაღებული ბანდის ორგანიზება სახელმწიფო და საზოგადოებრივ საწარმოებზე, დაწესებულება–ორგანიზაციებისა და ცალკეულ პირებზე თავდასხმის მიზნით, აგრეთვე ასეთ ბანდებში და მათ მიერ მოწყობილ თავდასხმებში მონაწილეობა და მოქმედება ზაზა ვეფხვაძესთან, თეიმურაზ ყურაშვილსა და გელა გოდერძიშვილთან ერთად წინასწარ შემუშავებული გეგმით"...

იმის გასაცნობად თუ რას ეფუძნებოდა ეს ბრალდება, ხვალ შემოგთავაზებთ ალეკო ასლანიშვილის წერილს „თარეში", წერილების ციკლიდან „აფეთქება, რომლის ხმაც მსოფლიოს გადასწვდა".

დღეს კი ვბეჭდავთ ამ ციკლის მეორე წერილს–„მღვრიე სათავე", რომელიც მაშველთა კორპუსის („მხედრიონის") ჩამოყალიბებასა და პირველ ნაბიჯებზე გვიამბობს.

ოფიციალური ვიზიტი

ევროსაბჭო კვლავაც ხელს შეუწყობს საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას

საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის დროს. ბესიკ კეზერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ევროსაბჭო ობიექტურად აფასებს საქართველოს ერთგულებას დემოკრატიული განვითარების კურსისადმი და სავსებით შესაძლებლად მიიჩნევს მასთან თანამშრომლობის შემდგომ გაფართოებას, ამას ხელს შეუწყობს ის გარემოებაც, რომ საქართველოთი და, ზოგადად, ამიერკავკასიის რეგიონით ბოლო ხანებში ევროსაბჭოს სტრუქტურები აქტიურად დაინტერესდნენ. ამის შესახებ ითქვა 14 ივლისს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის შეხვედრაზე ევროსაბჭოს დელეგაციასთან, რომელიც ორი დღით ეწვია საქართველოს ამიერკავკასიის სახელმწიფოებში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში.

დელეგაციას ხელმძღვანელობენ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე, ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სიიმ კალასი და ევროსაბჭოს გენერალური მდივანი დანიელ ტარშისი.

საქართველოს პრეზიდენტმა ვრცელი ინფორმაცია მიაწოდა სტუმრებს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების შესახებ და უკვე მიღწეულ შედეგებზე დაყრდნობით დაუდასტურა მათ ქვეყანაში დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის კურსის შეუქცევადობა, აქვე მან ხაზგასმით აღნიშნა ამ პროცესზე ქვეყანაში ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი კონფლიქტების ნეგატიური გავლენა. ამასთან დაკავშირებით, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული ბოლო რეზოლუცია აფ-

(დასასრული მე-3 გვ.).

ქრონიკა

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ბრძანებით ნიკოლოზ კახეთელიძე დაინიშნა სახელმწიფო მინისტრის სამდივნოს უფროსად.

საქინფორმი.



ევაზ მარგიანი, ნოდარ დუმბაძე, გივი მეტრეველი, მუხრან მაჭავარიანი, ნოდარ გურეშიძე.

როგორ გვაკლია, თურმე, ნოდარ დუმბაძე

ყოველთვის ვგრძნობდი ამას და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ამ კვირას მის სახლში რომ მივედი, მუზეუმში, რომელსაც მისი მეუღლე ქალბატონი ნანული ისე უვლის და ეფერება, ვითარცა წმინდა რამ ადგილს.

ნოდარ დუმბაძეს, მის შესანიშნავ შემოქმედებას, ცხოვრებას, თითქოს ყველა იცნობს, და მაინც, ამ მუზეუმში მოხვედრისას ახალ შტრიხებს ამოაჩენს, ახალს, მოულოდნელს და გასაკვირს.

დაფიქრდები და მიხვდები, რომ მოულოდნელია მხოლოდ იმიტომ, რომ არ იცოდი შენ, თორემ მისი ცხოვრების ლოგიკა ასეთ დეტალშიც უნდა გამჟღავნებულიყო.

აი, ასეთშიც — კანცელარიულ-პროცედურულ განცხადებაში (ფორმალურად) და მაღალი სულიერების, კაცობის ნიმუშშიც (აზრობრივად) ერთდროულად.

ეს განცხადება უნიკალურია, მისი ადრესატია ედუარდ შევარდნაძე, მაშინაც რესპუბლიკის ხელმძღვანელი.

„ამ განცხადებას, — წერს ნოდარ დუმბაძე, — თქვენი დიდბუნებოვნება მაბედვინებს.

ბოლო წლებში საგრძნობლად დავუძლურდი. საქმე კი სახელმწიფო და ფრიად საპასუხისმგებლო მაბარია. ვშიშობ, ჩემი უძლურებით უნებურად საქმე არ დაგალაღატოთ, ამიტომ გთხოვთ, ყოველგვარი ყოყმანისა და მორიდების გარეშე, როგორც კი საჭიროდ ჩათვლით გამათავისუფლოთ.

ვიცი, სახელმწიფო საქმეებში პირადი სიმპათიებით ხელმძღვანელობა არ შეიძლება. იცოდეთ, ყოველ დღეს, საათსა და წუთს ჩემი ცხოვრებისას, გატარებულს თქვენი ხელმძღვანელობით ჩვენი ერის სამსახურში ბედნიერად ვთვლი.

ულრმესი პატივისცემით, მორიდებით და მადლიერებით,

ნოდარ დუმბაძე.

1983 წლის 20 ივნისი".

მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობიდან გადადგომას ითხოვდა ნოდარ დუმბაძე.

თქვენ წაგიკითხავთ სხვა ამგვარი განცხადება?

სითბოთი, სიცოცხლით, სიყვარულით სავსე მზიანი შემოქმედი.

და მიმტევებელი, მოყვასი.

„ამასწინათ მე მქონდა ბედნიერება ტელევიზიით მომესმინა თქვენი სიტყვა, რომლითაც მიმართეთ მასწავლებელთა მეხუთე კრებას. მე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ თქვენ ბრძანდებით არა მარტო დიდი მწერალი, არამედ დიდი სულის პატრონი და ჩვენი ერის დიდი სულიერი მოძღვარი. სული წმინდა ლაპარაკობდა იმ დროს. მე იმდენად აღმაფრთოვანა თქვენმა სიტყვამ, რომ იქვე დაგლოცეთ და თქვენი კეთილდღეობისათვის ჩემი სალოცავი ხატის წინ დავანთე სანთელი..."

ეს სიტყვები უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს ეკუთვნის და კიდევ ერთი მოულოდნელი დეტალია ნოდარ დუმბაძის მემორიალური მუზეუმის ექსპოზიციაში.

ის სანთელი დაიწვა.

ნოდარ დუმბაძის ცხოვრებაც მინელდა და ჩაქრა: ჩაქრა სულიერების ის მაღალი რეგისტრი, რომელიც მასში, როგორც ადამიანში, ჟღერდა ყოველთვის.

შემოქმედება — სხვა საკითხია.

ნოდარი ცოცხალი რომ ყოფილიყო ახლა, ეგებ, ასე დაცალცალკევებული არ ვყოფილიყავით, ზოგიერთთა მცდელობით ასე დაპირისპირებული.

ნოდარ დუმბაძის მაღალი სულიერება გადალახავდა იმ ბინძურ დემარშით გაჩენილ გაუცხოებას, რომელიც უგუნურებით მოქნეული ცულივით ჩაესო ერის გულში. „კრიმინალურ მწერლობაზე" მოგახსენებთ, ბატონებო.

„კრიმინალურ მწერლობაზე", რომელსაც ზოგიერთი მისი კოლეგა ისმენდა. ისმენდა და იდგა.

მეტი არაფერი.

ნოდარ დუმბაძე, გადადგამდა, ასე მეჩვენება, შესარიგებლად პირველ ნაბიჯს, ყველაფერი ხდებაო ცხოვრებაში, ძამა, — გაიხუმრებდა და ხელს პირველი გაუწოდებდა.

და ვიქნებოდით ისე, როგორც ამ სურათზე, ყველანი ერთად და ღირსეულად. ეს სურათიც ნოდარის სახლიდანაა (თუ მუზეუმიდან?).

ნოდარ დუმბაძე შეძლებდა ამას, და ამიტომ ასე გვაკლია იგი დღეს.

გასულ კვირას, 14 ივლისს, არაჩვეულებრივად ცხელ დღეს მისმა ოჯახმა, ახლობლებმა, მწერლებმა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ნოდარ დუმბაძის დაბადების დღე აღნიშნეს მზიურში.

ნოდარ დუმბაძე 68 წლისა გახდებოდა გუშინწინ.

არმაზ სანებლიძე.

„მსოფლიო მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მისი საზღვრების შეუვალობას, აფხაზეთის სტატუსის საკითხის მხოლოდ და მხოლოდ ერთიანი საქართველოს ფარგლებში გადაწყვეტას"

(დასასრული)

ყველამ ერთხელ და სამუდამოდ კარგად უნდა შეიგნოს, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ალტერნატივა არ გააჩნია, საქართველოში სეპარატიზმი ვერ გაიხარებს, ვერ იბოგინებს, ბოლო ერთიანი საქართველოს ფარგლებში უმტკივნეულოდ განისაზღვრება აფხაზებისა და ოსების ადგილი საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების ფარგლებში.

საქართველოს უშიშროების საბჭომ დაამტკიცა აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების სრულმასშტაბიანი პროგრამა, რომელიც ამ მხრივ განსახორციელებელ ღონისძიებათა ყველა, ვიმეორებ, ყველა ასპექტს მოიცავს, ეს არის მოლაპარაკება თუ ზოგიერთი სხვა ღონისძიება.

— და, კვლავ ტრადიციულად გასული ეკონომიკური კვირა, მიმდინარე ეკონომიკური რეფორმით, შეხვედრებითა და ახალი გადაწყვეტილებებით...

— საქართველოში ეკონომიკური რეფორმების საერთოდ წარმატებული მიმდინარეობა საინტერესო და მიმზიდველ საინვესტიციო გარემოს ქმნის უცხოელი პარტნიორებისათვის. ჩვენს ქვეყანასთან საქმიან ურთიერთობას სულ უფრო მეტად ესწრაფვიან საზღვარგარეთული ბიზნესის მაღალტიტულოვანი წარმომადგენლები. განვლილ კვირაში საქართველოში ვიზიტის დროს ამერიკული კერძო ბიზნესის ავტორიტეტული წარმომადგენელი, კორპორაცია „მეტრომედიის" (უნდა გითხრათ, რომ ეს კორპორაცია ერთ-ერთი მსოფლიო გიგანტი გახლავთ) თავმჯდომარე ბატონი ჯონ კლუგე დიდად დაინტერესდა ეკონომიკისა და მეურნეობის იმ სფეროებმა, სადაც, მისი აზრით, ხელსაყრელია ერთობლივი საქმიანობა. კერძოდ, ეს შეეხება საკომუნიკაციო სისტემების საერთაშორისო მოთხოვნათა დონეზე სრულყოფასა და განვითარებას, რაც საქართველოსათვის ევრაზიის დერეფნის ფუნქციის განხორციელების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. ამჟამად ხელი მოვაწერეთ კონტრაქტს საქართველოში ფიჭური სისტემის სატელეფონო ქსელის განვითარების შესახებ.

მეფრინველეობის, სასათბურე მეურნეობების, ყვავილებისა და სოკოს მრეწველობის ინვესტირების, ამ სფეროებში ერთობლივი საწარმოების შექმნისათვის მზადყოფნა დაადასტურეს ჰოლანდიური კომპანიების „დილსემის" და „ჯენერალ ბანკის" ხელმძღვანელებმა შესაბამისი კონტრაქტების გაფორმებით.

ეკონომიკური რეფორმების, მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებას, საკმაოდ რთული და დასაწყისისათვის სოციალური თვალსაზრისით ნაკლებ პოპულარული ეფექტების შემდეგ, უეჭველად თან სდევს ახალი ეტაპი, როცა მოსახლეობის თითოეულმა წევრმა რეალურად უნდა იგრძნოს რეფორმების სიკეთე, დარწმუნდეს მათს აუცილებლობასა და უალტერნატივობაში. ამჟამად ჩვენ, შეიძლება ითქვას, უკვე ვდგავართ ამ ახალი ეტაპის საწყის მიჯნაზე და დღეს უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს მოსახლეობის სოციალური დაცვის ქმედით ღონისძიებათა განხორციელება, რის გამოც ისინი მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ ეკონომიკური ზრდის პროცესს.

სწორედ ამგვარი მიდგომები დაედო საფუძვლად მოსახლეობის სოციალური დაცვის 1996-2000 წლების ძირითად მიმართულებებს, რომლებიც პრეზიდენტთან არსებულმა საკონსულტაციო ეკონომიკურმა საბჭომ განიხილა. პროგრამა გულისხმობს ისეთი მნიშვნელოვანი სფეროების მოწესრიგებას, როგორიც არის მოსახლეობის შემოსავლის რეგულირება, დასაქმება, საპენსიო უზრუნველყოფა, ხელმოკლეთა ფენების სახელმწიფო მხარდაჭერა და სხვ.

ამ მიმართულებით ცენტრალური ადგილი მაინც შრომის ანაზღაურებამ და ხელფასმა უნდა დაიკავოს, რასაც ითვალისწინებს საბჭოს მიერ ასევე გულდასმით განხილული 2000 წლამდე პერიოდისათვის გამიზნული შრომის ანაზღაურების სრულყოფის ძირითადი მიმართულებანი. ამ სფეროში საჭირო საკანონმდებლო ბაზის შემუშავებამ უნდა უზრუნველყოს მინიმალური ხელფასის რეალურად განსაზღვრის, ერთიანი სატარიფო ბადის სრულყოფის, ხელფასის ცივილიზებული, საყოველთაოდ აღიარებული სახელშეკრულებო სისტემებითა და შეთანხმებათა მეშვეობით რეგულირების აუცილებელ წანამძღვართა შექმნა.

ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების სახელმწიფოებრივი რეგულირება დღეს მკვეთრად ზრდის მოთხოვნილებას სტატისტიკურ ინფორმაციაზე, მის მოცულობასა და ხარისხზე. აუცილებელი ხდება სტატისტიკური საქმიანობისადმი სეგმენტური მიდგომიდან გადასვლა სისტემურ მიდგომაზე, რაც უზრუნველყოფს ეროვნულ მეურნეობაში მიმდინარე ძირითადი ტენდენციების, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების, დასაქმების, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბის, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის, სოციალურ სფეროსა და ეკონომიკაში რეფორმების მიმდინარეობის და სხვა პროცესების ადეკვატურ სტატისტიკურ ასახვას სახელმწიფო, დარგობრივ და რეგიონულ დონეებზე. ამიტომ საბჭომ ძალზე აქტუალურად მიიჩნია „სახელმწიფო სტატისტიკის სრულყოფის ზოგიერთი დამატებითი ღონისძიების შესახებ" პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა გადაუდებელი განხორციელება. სტატისტიკის სამსახურის სრულყოფა აუცილებელია. რათა სახელმწიფო ვმართოთ უფრო ეფექტიანად და, რა თქმა უნდა, ავამაღლოთ მთელი ეკონომიკის ეფექტიანობა იმ მოთხოვნათა გათვალისწინებით, რომლებიც დღეს დგას ჩვენ წინაშე.

მეტად სერიოზული მზადება მიმდინარეობს ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996 წლის 6 თვის შედეგების შესაჯამებლად, რაც კვირის ბოლოს უნდა მოხდეს. სპეციალური კომისია ბატონ ნიკო ლეკიშვილის ხელმძღვანელობით საგანგებოდ შედგენილი პროგრამის მიხედვით სამი დღის განმავლობაში ისმენს ქვეყნის ყველა რეგიონის მიერ ამ პერიოდში გაწეული მუშაობის ანგარიშს, რომელიც მოიცავდა როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ სფეროებს. ეს წინასწარი სამუშაო უფრო ნაყოფიერს გახდის მთავრობის გაფართოებული სხდომის მუშაობას და შესაძლებლობას მოგვცემს აქცენტი უფრო მეტად დაგროვილი პრობლემების გადაჭრის გზებზე გავამახვილოთ. აქედან გამომდინარე, ნახევარი წლის შედეგებზე არ შევჩერდები, რადგან მთავრობის გაფართოებული სხდომის მასალები ფართოდ გაშუქდება პრესაშიც და ტელევიზიითაც.

— და, ბოლოს. გუშინ საქართველოს ეწვიენენ ევროსაბჭოს გენერალური მდივანი დანიელ ტარშისი და ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სიიმ კალასი... შეიძლება ითქვას, რომ იქმნება ევროსაბჭოში საქართველოს გაწევრიანების რეალური საფუძველი...

— ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთ კომენტარს გავაკეთებდი: ევროსაბჭოს მაღალი დონის დელეგაციის ვიზიტი დაემთხვა ევროსაბჭოში საქართველოსათვის სტუმრის სპეციალური სტატუსის დამტკიცებას. ამასთან, დელეგაციას გადაეცა ჩვენი თხოვნა ევროსაბჭოს წევრად საქართველოს მიღების შესახებ. ვფიქრობ, უახლოეს ერთ წელიწადსა თუ წელიწად-ნახევარში შესაძლებელია ქვეყანა გახდეს ევროსაბჭოს წევრი. იმ პროგრესთან ერთად, რომელსაც ევროკავშირთან ურთიერთობაში მივაღწიეთ, ევროსაბჭოში გაერთიანება უდავოდ ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იქნება. ჩვენი საუბრები კეთილმოსურნეობის, მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში წარიმართა. მისასალმებელია, რომ ევროსაბჭოს ეს მაღალი დონის დელეგაცია ამიერკავკასიის სამივე სახელმწიფოს ესტუმრება და ამით ერთხელ კიდევ გაესმება ხაზი რეგიონში სამთავე სახელმწიფოს თანამშრომლობის ახალ დონეზე აყვანის ამოცანას.

გაერო აგრძელებს სამშვიდობო მისიას

აფხაზმა ლიდერებმა ხალხი ლატაკი და უსასოო ცხოვრებისთვის გასწირეს

(დასასრული)

კონფლიქტის მოგვარების საქმეში რუსეთის უნიკალურ როლზე, რომელმაც პოზიტიური შედეგი უნდა გამოიღოს.

ბრიტანეთის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ აფხაზმა ლიდერებმა თავიანთი ხალხი ლატაკი და უსასოო ცხოვრებისათვის გასწირეს.

რუსეთის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი მხარე ახორციელებს გეგმაზომიერი ზეწოლის პოლიტიკას აფხაზ ხელისუფალთა მიმართ. „რუსეთი სისხლხორცეულადაა დაინტერესებული, რათა მეგობრული საქართველო იხილოს სტაბილურ, დემოკრატიულ და აყვავებულ ქვეყნად, რისთვისაც კონფლიქტის გადაუდებლად მოგვარება და მისი შედეგების ლიკვიდაციაა საჭირო", — თქვა მან.

იტალიის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ არცერთი დანაშაული, რომელიც ჩადენილია ქართველი მოსახლეობის მიმართ, არ უნდა იქნეს დაუსჯელად დატოვებული.

აშშ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სეპარატისტთა ლიდერები საუბრისას ისე იქცევიან, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ხელმძღვანელები, რაზედაც მკაფიოდ უნდა ვუთხრათ: „ეს არ მოხდება", და ყურად იღონ ის, რასაც ელჩი ბრუნერი შესთავაზებს; ხაზი გაუსვა ბუდაპეშტის სამიტის დასკვნას ეთნიკური წმენდის განხორციელების თაობაზე.

საფრანგეთის წარმომადგენელმა თავისი მთავრობის სახელით აღნიშნა, რომ აფხაზებისთვის პოლიტიკურ სიგნალად უნდა იქნეს მიღებული რეზოლუციისა და საერთაშორისო მიდგომების შინაარსი.

აგრესიული სეპარატიზმის დაგმობა და საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის მხარდამჭერი პოზიცია გამოხატეს პოლონეთის, კორეის რესპუბლიკის, ჰონდურასის, ბოსტვანის, გვინეა-ბისაოს, ინდონეზიის წარმომადგენლებმა, პრობლემის საერთო ასპექტებზე ისაუბრა ეგვიპტის წარმომადგენელმა.

როგორც ოფიციალური შეხვედრებისას, ასევე, კერძო საუბრებში საბჭოს წევრი თუ მრავლად დამსწრე სხვა ქვეყნების სამდივნოს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინი საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკას განიხილავენ საერთაშორისო თანადგომის მთავარ ფაქტორად და კვლავაც დაუჭერენ მხარს, რათა პრობლემა საბოლოოდ გადაწყდეს.

* * *

სხდომაზე სიტყვით გამოვიდა პეტრე ჩხეიძე.

გაეროში საქართველოს წარმომადგენლის პეტრე ჩხეიძის გამოსვლა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე 12.07.96, ნიუ-იორკი.

ბატონო თავმჯდომარევ!

მოხარული ვარ, ერთხელ კიდევ გამოვხატო თქვენდამი ღრმა პატივისცემა, და მოგესალმოთ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე.

ნება მიბოძეთ, ჩემი მთავრობის სახელით მადლიერება გამოვხატო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, მისი უშიშროების საბჭოს, გაეროს გენერალური მდივნის, მისი აღმატებულება ბატონ ბუტროს ბუტროს ღალისა და მათ მიერ უფლებამოსილი პირების მიმართ, რომლებიც მხარში უდგანან საქართველოს მისთვის ესოდენ მძიმე და პრობლემებით აღსავსე პერიოდში.

დაულალავი ყურადღებისა და ძალისხმევისათვის, ჩემი მთავრობის სახელით მადლობას ვუხდი „საქართველოს მეგობართა" სახელწოდებით ცნობილი ჯგუფის ქვეყნებს, საბჭოს თითოეულ წევრ ქვეყანას და მათ ღირსეულ წარმომადგენლებს გაეროში. მადლიერება მინდა ვუძღვნა რუსეთს, როგორც ხელშემწყობ ქვეყანას ძალისხმევისათვის, და მის წარმომადგენლობას გაეროში.

ჩვენს ქვეყანაში მუდმივად გრძნობენ საერთაშორისო თანადგომას. დღეს ასიათასობით დევნილი ფიზიკური გადარჩენის პერსპექტივას მსოფლიო თანამეგობრობის მიერ ჩამოყალიბებულ მიდგომებში ხედავს და მომავლის რწმენას ინარჩუნებს.

ამ რწმენით ცოცხლობს მთელი საქართველოც. ამ რწმენით ითმენს მოუშუშებელი ჭრილობის ტკივილს, რომელიც აფხაზეთის ომმა დატოვა მრავალ ოჯახში მდინარე ენგურის გაღმა-გამოღმა.

დღეს არავისთვის საიდუმლო არ არის დაპირისპირების ჩასახვისა და შემდგომი განვითარების არსი. საყოველთაოდ ცნობილია აგრეთვე, თუ როგორ წარმოიქმნა კომუნისტური იმპერიის დაცვის ლოზუნგების საფუძველზე კონფლიქტის საფუძველი და რომელი წყაროებიდან მიიღო იარაღი და დაუსჯელობის მანდატი აგრესიულმა სეპარატიზმმა.

დემოკრატიული პროცესების განვითარებამ საფუძველი გამოაცალა იმ ძალთა პოზიციას, რომლებიც აფხაზეთში და ყოფილი საბჭოთა იმპერიის სხვა რეგიონებში კონფლიქტის ატმოსფეროს დანერგვისა და შენარჩუნებისათვის იბრძოდნენ. ჩამოყალიბდა ანტაგონიზმი პროგრესირებად დემოკრატიასა და რევანშიზმს შორის, რომლის საყრდენს ე. წ. ცხელი წერტილები, მათ შორის, აფხაზეთი წარმოადგენდა.

ამ რეგიონში განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დიდძალი იარაღისა და ნარკოტიკების გავრცელებას, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების — მომავალი ბანდიტური ჯგუფების შექმნას. აფხაზეთი კავკასიაში დესტაბილიზაციის მძლავრ კერად ჩამოყალიბდა და, მიუხედავად საერთაშორისო ძალისხმევისა, განაგრძობს ამ ნიშნით განვითარებას.

ეს კონფლიქტი კვლავ გადაულახავი ბარიერია რეგიონის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის გზაზე.

გენერალური მდივნის ბოლო მოხსენებებში მართებულად არის ხაზგასმული, რომ სამშვიდობო პროცესი ჩიხში მოექცა.

გალის რაიონში, სადაც დღეს საერთაშორისო ძალისხმევა არის კონცენტრირებული, უკანონობა და განუკითხაობა სუფევს.

პრაქტიკულად ჩაშლილია პოლიტიკური რეგულირების პროცესი. შეწყდა მოლაპარაკებები, იშვიათი შეხვედრები მათი გაგრძელების მხოლოდ ილუზიას ქმნის, საკუთარ სახლებში დაბრუნებული დევნილების მცირე ჯგუფი ფაქტობრივად ბანდიტური ფორმირებების მძევლებად იქცა, გაუფასურებულია მათი ღირსება და სიცოცხლე.

ქართველი და სხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ აფხაზეთში განხორციელებული გენოციდი პირველად ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ბუდაპეშტის უმაღლესი დონის შეხვედრაზე იქნა საქვეყნოდ აღიარებული (S/1994/1435).

საქართველოს პარლამენტმა განიხილა პროკურატურის ვრცელი მასალები, რომლებიც ადამიანობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულობებს მოწმობს.

ძალადობამ აფხაზეთის მოსახლეობის სამი მეოთხედი იძულებული გახადა მიეტოვებინა საკუთარი საცხოვრებელი.

იძულებით გადაადგილებულ პირთა, საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი ლტოლვილების ფიზიკური და მორალური მდგომარეობა სავალალოა. მათ შორის კატასტროფულად იმატა სიკვდილიანობამ.

გალის რაიონში მიმდინარე ეთნიკური ხასიათის მკვლელობებს, გატაცებებს, წამებას, უკვე დიდი ხანია დაემატა კრიმინალური განუკითხაობა აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, როდესაც ძალადობის ობიექტი ეროვნული ნიშნით აღარ შეირჩევა. აფხაზეთი იქცა გარედან შემოსული და ადგილობრივი დამნაშავეების სათარეშო ასპარეზად.

ასეთ ვითარებაში განა ალმაშფოთებელი არ არის ის ცინიზმი, რომლითაც სეპარატისტთა ლიდერები ლტოლვილების დაბრუნების ხელშემშლელ მიზეზად ასახელებენ რეგიონში დარჩენილი მოსახლეობის ნებას, რომლის შეცვლას, მათი თქმით, „დრო სჭირდება". ამის თაობაზე გენერალური მდივნის მოხსენების მე-7 პუნქტშია აღნიშნული.

ეს სხვა არაფერია, თუ არა მცდელობა ისეთი სურათი დახატონ, თითქოს პროვოცირებული ომის შედეგად ტერიტორიის მიტაცება და მოსახლეობის უმრავლესობის გენოციდი თავისთავად მომხდარი ფაქტია, ხოლო ამ ტერიტორიაზე დარჩენილი უმცირესობის „ჭრილობების მოშუშება და თვალსაზრისის შეცვლა" მათ დღევანდელ საზრუნავს წარმოადგენს.

ნათელია, რომ მოლაპარაკებათა და ლტოლვილთა დაბრუნების პროცესის ჩაშლა დროის გაყვანის, უკანონობის დაკანონების განზრახვას უკავშირდება — სეპარატისტთა კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე დევნილთა სახლებს მათი მოძალადეები ეუფლებიან, როგორც გასამრჯელოს სისხლის სამართლის დანაშაულობების ჩადენისათვის.

ამავე დროს მიმდინარეობს გამიზნული, გეგმაზომიერი მუშაობა, რათა მოიცილონ ისედაც შეზღუდული საერთაშორისო მეთვალყურეობა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ საფრთხის წინაშე დადგა არა მარტო ყოველმხრივ დაუცველი, უუფლებო და დამცირებული ქართველი მოსახლეობის, არამედ სამხედრო მეთვალყურეების სიცოცხლე, რომ არაფერი ვთქვათ მათ მიერ მანდატის რეალიზაციის შესაძლებლობაზე.

ჩანაფიქრი ზუსტი აღმოჩნდა. რაიონის მთელი რიგი უბნების დანაღმვამ საშუალება მისცა დაინტერესებულ ძალებს, არ დაუშვან საერთაშორისო მეთვალყურეობა ასაწიოკებლად გამიზნულ რაიონებში, ხოლო ისედაც მუდმივი ტერორის ქვეშ მყოფ მოსახლეობას საერთოდ მოუსპონ სამართლიანობის დაცვის იმედი.

ტერიტორიის დანაღმვა შორს გამიზნული აქციაა, რომელიც მის შემსრულებლებს საშუალებას აძლევს წარმოშვას საერთაშორისო მეთვალყურეთათვის ინფორმაციის გარეშე დატოვება და არასაიმედო წყაროებიდან მიღების აუცილებლობა, ეს მაშინ, როდესაც საერთაშორისო საზოგადოების დეზორიენტაციას დაგეგმილი ხასიათი აქვს.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ მომავალში, თუ ტერიტორიაზე არ აღდგა ობიექტური ინფორმაციის შეგროვების საშუალება, კიდევ უფრო იმატებს ცნობები იმის შესახებ, რომ აფხაზეთის მილიციის მიერ ორგანიზებულად და თავშეკავებულად ტარდება ოპერაციები გააქტიურებული წინააღმდეგობის ჩასაქრობად (გენერალური მდივნის მოხსენების 32-ე პუნქტი), ხოლო ბანდიტიზმი და კრიმინალური ბანდების თარეში იქ ხდება, სადაც აფხაზური მილიცია ვერ აკონტროლებს ვითარებას (26-ე პუნქტი).

გასაკვირი არ უნდა იყოს, ისიც, რომ ვითარების ასეთი დახასიათება დაუკმაყოფილებლობის გრძნობას იწვევს. მაშინ, როდესაც ცნობილია პირები, რომლებიც ოფიციალურად შედიან აფხაზური სამართალდამცავი ორგანოების შემადგენლობაში, დაჯილდოებულნიც არიან ორდენებით, წოდებებით და, ამავე დროს, სიობრივად არის ცნობილი მათ მიერ ნაწამები, დახვრეტილი და გატაცებული უდანაშაულო ადამიანების ვინაობა.

სავსებით მისაღებია, რომ მშვიდობის მიღწევა, შეთანხმება, ურთიერთდათმობა მხოლოდ კონფლიქტის ორივე მხარის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული (მოხსენების 56-ე პუნქტი). განა ეს ნება არ არის დადასტურებული საქართველოს მთავრობის წინადადებებში აფხაზეთის სტატუსის შესახებ (S/1996/165)?

ამ წინადადებათა რეალიზაციის, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მისწრაფების გარანტია არის საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა, ჩვენი პრეზიდენტის — ედუარდ შევარდნაძის პოზიციის ურყეობა, რაც მან არაერთგზის დაადასტურა. სწორედ მისი ძალისხმევა წარმოადგენს რადიკალური მოქმედების მომხრეთა შემაკავებელ მნიშვნელოვან ფაქტორს.

როდესაც რეგიონში მშვიდობის დამყარების პერსპექტივაზე ვსაუბრობთ, გასათვალისწინებელია ის ისტორიული ტრადიციაც, რომელიც პოლიტიკური ფორმაციების ცვლილების მიუხედავად არ შეცვლილა, — სწორედ ქართველებთან საუკუნეობრივი თანაარსებობის პირობებში შეინარჩუნა მცირერიცხოვანმა აფხაზმა ერმა თვითმყოფადობა, კულტურა, ენა, განვითარების შესაძლებლობა.

აფხაზეთის მომავალს ჩვენ ძნელ, მაგრამ საბოლოოდ გარდუვალ აღორძინების პროცესს ვუკავშირებთ. სწორედ აქედან გამომდინარეობს პრეზიდენტ შევარდნაძის იდეა ისეთი საგანგებო ფონდის შექმნის შესახებ, რომელიც სამშვიდობო მოლაპარაკებათა წარმატებით განხორციელების შემდეგ ამოქმედდება რეგიონის დანგრეული ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის აღსადგენად.

საქართველოს მთავრობა დიდ იმედს ამყარებს ამ იდეის საერთაშორისო მხარდაჭერაზე და მიაჩნია, რომ იგი სამშვიდობო პროცესის წახალისების მნიშვნელოვან ფაქტორად იქცევა.

საქართველოს მთავრობას ნათლად აქვს გათვითცნობიერებული კონფლიქტის მონაწილე მხარეების თანაბარი პასუხისმგებლობა მშვიდობის შენარჩუნებაზე, მაგრამ ნათელია ისიც, რომ ეს მხარეების მიდგომათა დაბალანსებით ვერ იქნება მიღწეული.

ისეთ ვითარებაში, როდესაც იგნორირებულია საბჭოს რეზოლუციები, საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ ცალკეული სახელმწიფოების ძალისხმევა, ხოლო მოვლენები, შესაძლოა, ტრაგიკული უკუსვლით განვითარდეს, საერთაშორისო ნების აღსრულებისათვის მხოლოდ იძულების ფორმებიღა რჩება გამოსაყენებელი.

საქართველოს მთავრობა იტოვებს იმედს, რომ ყოველი ღონე იქნება მიღებული, რათა საერთაშორისო მეთვალყურეობამ ფართო და შეუფერხებელი ხასიათი მიიღოს. უშიშროების საბჭო გამოიყენებს მის ხელთ არსებულ შესაბამის ბერკეტებს, რომლებიც ნათელს გახდის სეპარატიზმის დესტრუქციული პოზიციის უპერსპექტივობას, სათანადო საერთაშორისო მხარდაჭერას ჰპოვებს რეგიონული ორგანიზაციის (დსთ) როლი კონფლიქტის მოგვარების საქმეში.

დარწმუნებული ვარ, რომ მოთხოვნათა და მოქმედებათა გამკაცრება გარდუვალად აუცილებელია სისხლისღვრისა და ვითარების კიდევ უფრო გამწვავების თავიდან ასაცილებლად.

* * *

გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მანდატის გაგრძელების შესახებ უშიშროების საბჭოს რეზოლუციას ჩვენი გაზეთის ზეგინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ" საქართველოს კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედების თაობაზე" საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 31 იანვრის დადგენილების მე-3 პუნქტში სიტყვები „1996 წლის 1 ივნისიდან" შეიცვალოს სიტყვებით „1997 წლის 1 ივლისიდან".

2. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს გადაწყვიტოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განთავსების საკითხი და 1997 წლის ბიუჯეტის კანონპროექტში გაითვალისწინოს ქალაქ მცხეთაში საკონსტიტუციო სასამართლოს შენობის რეკონსტრუქცია-გაფართოებისათვის საჭირო ფინანსები.

3. ეს კანონი ამოქმედდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრის მიერ ფიცის დადების დღიდან.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

თბილისი, 1996 წლის 25 ივნისი.

საქართველოს კანონი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ

მუხლი 1. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს 1996 წლის 31 იანვრის კანონის მეოთხე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად სახელმწიფო ვალდებულია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით შეუქმნას მოღვაწეობისა და ცხოვრების ღირსეული პირობები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია ცალკე მუხლით საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე.

მუხლი 2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ხელფასის ფონდის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნეს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობრივი განაკვეთი და დანამატი არ უნდა იყოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობრივ განაკვეთზე და დანამატზე ნაკლები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თანამდებობრივი განაკვეთი განისაზღვრება შესაბამისად საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობრივი განაკვეთისა 90 და 85 პროცენტით. ამასთანავე მათ მიეცემათ დანამატი არანაკლებ პარლამენტის წევრის დანამატისა.

მუხლი 3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები ასევე სარგებლობენ დანამატებით საკვალიფიკაციო კლასებისა და წელთა ნამსახურობისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ნორმით.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრისათვის საკვალიფიკაციო კლასების მინიჭების წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წარმომადგენლობითი ხარჯებისათვის მიეცემა წარმომადგენლობითი თანხები კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი სარგებლობს ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით, რომლის ხანგრძლივობა 45 კალენდარული დღეა; შვებულებაში გასვლისას საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს მიეცემა მატერიალური დახმარება მისი ორი თვის ფულადი გასამრჯელოს ოდენობით.

მუხლი 6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი სარგებლობს ყველა იმ შეღავათით, რითაც საქართველოს პარლამენტის წევრი, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ხოლო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები — იმავე პირობებით, როგორითაც შესაბამისად საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები.

მუხლი 7. საზღვარგარეთ მივლინებისას საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებსა და სასამართლოს წევრებს მიეცემათ დანამატი, შესაბამისად დღიური ანაზღაურების 50, 40 და 35 პროცენტი.

მუხლი 8. დაუშვებელია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრისათვის ფულადი გასამრჯელოსა და სხვა მატერიალური შეღავათების შემცირება მისი უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში.

მუხლი 9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლებამოსილების ვადის დამთავრების ან საპენსიო ასაკის მიღწევისას ენიშნება სამისდღეშიო პენსია ფულადი გასამრჯელოს სრული ოდენობით.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1996 წლის 25 ივნისი.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 7 ივლისი ქ. თბილისი

ი. კაკულიას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, საქართველოს სახალხო არტისტი **იური კაკულია** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 7 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით:

დიმიტრი მეფარიშვილი — კაპიტანი, შერეული სამხედრო-საზღვაო ბრიგადის მეთაურის მოადგილე სასაზღვრო დარგში;

მიხეილ მხითარიანი — რიგითი, მეორე საარმიო კორპუსის ცალკე სატანკო ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);

ვანო ნანობაშვილი — უფროსი ლეიტენანტი, სიღნაღის რაიონის სამხედრო კომისარიატის მესამე ქვეგანყოფილების უფროსი (სიკვდილის შემდეგ);

დავით ხარალიძე — პოლკოვნიკი, ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის საერთო-საჯარისო ციკლის უფროსი.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 12 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო დარგში საიჯარო ვაჭრობის (ტენდერის) მოწყობის შესახებ

მშენებლობის დარგში სახელმწიფო დაკვეთების რაციონალურად განთავსების, მათი შესრულებისათვის გამოყოფილი სახსრების ეფექტიანად და მიზნობრივად გამოყენების, კონკურენციის განვითარებისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხის ამაღლების მიზნით:

1. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო დარგით გათვალისწინებული სამუშაოები, რომლებიც ფინანსდება ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებით, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მიღებული მიზნობრივი სახელმწიფო კრედიტებით, განხორციელდეს საიჯარო ვაჭრობის (ტენდერის) მეშვეობით საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

2. დადგინდეს, რომ ტენდერებში გამარჯვებული უცხოური ფირმებისა და ორგანიზაციების მიერ კონკრეტულ ობიექტებზე დასაქმებულ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა ორმოცდაათ პროცენტს უნდა შეადგენდნენ საქართველოს მოქალაქეები.

3. დაევალოს საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო დარგში ტენდერების ორგანიზაციისათვის შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შემუშავება და მისი განხორციელებისადმი ზედამხედველობა.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1996 წლის 12 ივლისი ქ. თბილისი

ქ. თბილისის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ სამუშაოთა სახელმწიფო გადასახადების ურთიერთჩათვლის შესახებ

ქ. თბილისის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმის შესრულებაში შექმნილი რთული ვითარების გამო ხშირია შემთხვევები, როდესაც დროულად არ ნაზღაურდება შესრულებულ სამუშაოთა საფასური. აღნიშნულის გამო, ორგანიზაციები ვერ ახერხებენ ბიუჯეტის კუთვნილი სახსრების დადგენილ ვადაში გადახდას. ამის შედეგად, არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, მათ ერიცხებათ სათანადო საურავები.

მდგომარეობის გამოსწორების მიზნით:

1. დაევალოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს:

— წარმოდგენილი გაანგარიშების საფუძველზე მოახდინოს სახელმწიფო გადასახადების ურთიერთჩათვლა კეთილმოწყობის სამმართველოსთან, ფირმა „ინჟმშენთან", საგზაო კომპანია „თბილისთან" და სააქციო საზოგადოება „საფართან", რომლებსაც დამტკიცებული ქალაქის ბიუჯეტის ფარგლებში ეკუთვნით მუნიციპალიტეტისაგან სათანადო სახსრები;

— ზემოხსენებული ორგანიზაციებისათვის ქალაქის ბიუჯეტის გასაცემი თანხებიდან გადაირიცხოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ამ სამსახურებისაგან ცენტრალური ბიუჯეტის კუთვნილი სახელმწიფო გადასახადები.

2. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტიდან მიღებული თანხები ჩაუთვალოს შესაბამის ორგანიზაციებს რესპუბლიკის ბიუჯეტის კუთვნილ გადასახადებში.

3. განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

ოფიციალური ინფორმაცია

შეიქმნა დეპორტირებული და საქართველოში რეპატრიირებული მესხების სამართლებრივ და სოციალურ პრობლემათა გადაჭრის სახელმწიფო პოლიტიკისა და პროგრამის შემმუშავებელი სახელმწიფო კომისია

1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებული და საქართველოში რეპატრიირებული მესხების სამართლებრივ და სოციალურ პრობლემათა გადაჭრის სახელმწიფო პოლიტიკისა და პროგრამის შემუშავების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, შეიქმნა დეპორტირებული და საქართველოში რეპატრიირებული მესხების სამართლებრივ და სოციალურ პრობლემათა გადაჭრის სახელმწიფო პოლიტიკისა და პროგრამის შემმუშავებელი სახელმწიფო კომისია. მისი თავმჯდომარეა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ვალერი ვაშაკიძე.

სახელმწიფო კომისია სამ თვეში წარმოადგენს დეპორტირებული და საქართველოში რეპატრიირებული მესხების სამართლებრივ და სოციალურ პრობლემათა გადაჭრის პროგრამას.

საქინფორმი

კონფერენცია

ზურაბ ჟვანია: „შავი ზღვის პრობლემა ეროვნული უსაფრთხოების პრობლემაა“

10-12 ივლისს საქართველოს საპარლამენტო დელეგაციამ პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღო სტამბოლში შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეისა და ევროპის საბჭოს ერთობლივ კონფერენციაში, რომელიც შავი ზღვის ეკოლოგიურ პრობლემებს მიეძღვნა. კონფერენციის თანათავმჯდომარეები იყვნენ ბატონი ზურაბ ჟვანია (როგორც შავი ზღვის საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი) და ევროპის საბჭოს პრეზიდენტი ქალბატონი ლენი ფიშერი.

უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენცია შესანიშნავად იყო ორგანიზებული — თურქულმა მხარემ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ფორუმი რაც შეიძლება წარმომადგენლობითი ყოფილიყო — მართლაც, კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენლებმა. მეთვალყურის სტატუსით კი კონფერენციას ესწრებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, აზიის მრავალი ქვეყნისა და გაეროს ელჩები. ერთი შეხედვით, თითქოს დღევანდელ მსოფლიოში „ეკოლოგიური პრობლემატიკა“ და მასზე მსჯელობა ჩვეულებრივ, „რუტინულ“ საქმიანობად იქცა, მაგრამ სტამბოლის კონფერენციას ორი გარემოება სძენდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ჯერ ერთი, მასში მონაწილეობდნენ შავი ზღვის აუზის ქვეყნებში მცხოვრები უდიდესი მეცნიერ-ეკოლოგები, რომელთაც კონფერენციას თავიანთი გამოკვლევები წარუდგინეს (აქვე შევნიშნავთ, რომ ქართული დელეგაცია, წევრთა „მწვანე გამოცდილების“ გამო კომპეტენტურობითა და პრობლემის არსთა წვდომით არავის ჩამოუვარდებოდა, — ბატონებმა ზურაბ ნოღაიდელმა და გია გაჩეჩილაძემ რამდენიმე კონკრეტული წინადადება შესთავაზეს ფორუმს, რომლებიც ბევრმა დელეგაციამ გაიზიარა) და რაც მთავარია, — განსახილველ პრობლემას უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ქვეტექსტიც ჰქონდა — უკვე მესამე წელია გრძელდება მწვავე პოლემიკა თურქეთსა და რუსეთს შორის ბოსფორის სრუტეში ნავთობით დატვირთული გემების მოძრაობის გამო. 1994 წელს თურქეთის ხელისუფლებამ ცალმხრივი გადაწყვეტილებით მკვეთრად შეზღუდა ნავთობმზიდების მოძრაობა ბოსფორსა და დარდანელში. არ არის გამორიცხული, უახლოეს მომავალში ანკარამ საერთოდ ჩაკეტოს სრუტეები ამგვარი ტვირთისათვის, რაც უდიდესი დარტყმა იქნება რუსეთის ინტერესებზე. ამ შემთხვევაში ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმი უარყოფს კასპიის ნავთობის ევროპაში ტრანსპორტირების „რუსულ მარშრუტს“ (ბაქო-გროზნო-ნოვოროსიისკი-ბოსფორი-ხმელთაშუა ზღვა-ევროპა) და მიუხედავად სიძვირისა, ცალსახად დაუჭერს მხარს „დიდი ნავთობსადენის“ მშენებლობას საქართველოსა და თურქეთის გავლით ჯეიჰანის ტერმინალებამდე (ხმელთაშუა ზღვა). ამგვარი გადაწყვეტილება კარდინალურად შეცვლის გეოპოლიტიკურ ვითარებას კავკასიის რეგიონში, შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის აუზში. ამდენად, არ არის გასაკვირი, რუსეთის ძალზე მკაცრი, შეიძლება ითქვას „მკვახე“ რეაქცია თურქეთის გადაწყვეტილებაზე სრუტეებთან დაკავშირებით. მოსკოვმა ანკარა დაადანაშაულა „მონტრეს კონვენციის“ დარღვევაში (ამ კონვენციის თანახმად ბოსფორსა და დარდანელის „საერთაშორისო სტატუსი“ აქვთ მინიჭებული) და განაცხადა, რომ „ეკოლოგიური უსაფრთხოება არ შეიძლება გახდეს მიზეზი საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევისა“. თავის მხრივ, თურქები არანაკლებ მტკიცედ აცხადებენ, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაიხევენ უკან, ვინაიდან ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ბოსფორში თხუთმეტამდე მნიშვნელოვანი ავარია მოხდა, დაიღვარა მილიონობით ბარელი ნავთი, გაჩნდა ხანძარი. ყოველივე ეს კი საფრთხეს უქმნის სტამბოლს — მსოფლიოს ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქს. ამ არგუმენტებს ყოველი ჭკუათმყოფელი ადამიანი უნდა დაეთანხმოს. მართლაც, არ შეიძლება მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი ცენტრი და აკვანი — დიადი ბიზანტიის დედაქალაქი— „დენთის კასრზე“ იდგეს და ყოველ წუთს ელოდოს კატასტროფას. ეს ის შემთხვევაა, როდესაც თურქებმა ბრწყინვალედ გამოიყენეს, დაამთხვიეს გლობალურ ტენდენციას (გარემოს დაცვას) თავისი ეროვნული ინტერესები. ამავე დროს, ისიც ნათელია, რომ საქართველოს ინტერესები აქ ცალსახად ემთხვევა თურქეთის ინტერესებს. მაგრამ ამ დამთხვევის აშკარა ხაზგასმას შეეძლო ძალზე გაემწვავებინა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობანი, ამიტომ ბატონი ზურაბ ჟვანია, რომელმაც კონფერენცია გახსნა, უფრო დიპლომატიურად მოიქცა: რუსეთ-თურქეთის დისკუსიაში იგი აშკარად არ ჩარეულა, არც ნავთობმზიდთა თაობაზე უთქვამს რაიმე. სამაგიეროდ ძალზე კომპეტენტურად და ემოციურად ისაუბრა შავი ზღვის ეკოსისტემის გადარჩენის აუცილებლობაზე — იმის თაობაზე, რომ „ეკონომიკური სარგებლიანობის მოსაზრებებმა არ უნდა დასძლიონ ეკოლოგიური უსაფრთხოების პრინციპები“. ამით საქართველომ თუმცა ქარაგმულად, მაგრამ მაინც საკმაოდ ნათლად და მკაფიოდ დაუჭირა მხარი თურქეთის პოზიციას, მაგრამ იმდენად ოსტატურად და დიპლომატიურად, რომ რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელს, არტურ ჩილინგაროვს, რომელიც მწვავედ რეაგირებდა ყველა გამოსვლაზე, ამ შემთხვევაში ისღა დარჩენოდა, გაჩუმებულიყო.

ბატონ ზურაბ ჟვანიას თქმით, შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემატიკა ეროვნული უსაფრთხოების დონეზე უნდა განიხილებოდეს. **„რვა წლის წინ, როდესაც მეგობრებთან და თანამოაზრეებთან ერთად პირველი ნაბიჯები გადავდგი შავი ზღვის ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში, — ჩვენი საერთო სახლის, შავი ზღვის გადასარჩენად, — ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ვუხელმძღვანელებდი სტამბოლში გამართულ კონფერენციას, რომელიც შავი ზღვის ტრაგედიას, შავი ზღვის გადარჩენის გზათა ძიებას მიეძღვნებოდა. ჩვენს კომუნისტურ წარსულში არავინ ფიქრობდა ეკოლოგიურ პრობლემებზე, შედეგად კი შავი ზღვა კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. აუცილებელია მისი გადარჩენისა და რეგენერაციის პროგრამის შემუშავება. საქართველო მზად არის თავისი სამეცნიერო პოტენციალი აამოქმედოს ამ მიზნით და შესაბამისი წვლილიც შეიტანოს საშვილიშვილო საქმეში“.**

ფაქტობრივად, კონფერენციის მსვლელობისას საქართველომ დააფიქსირა, რომ იგი აპირებს აქტიური მონაწილეობა მიიღოს იმ ურთულეს პოლიტიკურ პროცესში, რომელიც შავი ზღვის აუზში მიმდინარეობს და რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი უდავოდ არის ბოსფორის პრობლემა. რაკი ჩვენს ქვეყანას შავიზღვისპირეთში გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, — საქართველოსადმი რეგიონის სახელმწიფოების (უპირველესად კი თურქეთის) ყურადღება დღითიდღე იზრდება. ეს წარმოჩნდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ზურაბ ჟვანიასა და თურქეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარის მუსტაფა ქალემლის საუბრისას. საუბრის დასაწყისში ზურაბ ჟვანიამ დაუფარავი შეშფოთება გამოთქვა ბოლო დროს თურქეთში ფუნდამენტალისტთა გარკვეული აღზევების გამო, რის შედეგადაც პრეზიდენტი იძულებული გახდა ახალი მთავრობის ფორმირება ისლამისტთა ლიდერ ნეჯმეთდინ ერბაქანისთვის დაევალებინა. ბატონმა მუსტაფა ქალემლიმ პასუხად განაცხადა: **„მე კარგად მესმის თქვენი, მაგრამ გარწმუნებთ, რომ შეშფოთებისათვის რეალური მიზეზი არ არსებობს, — ერბაქანის მთავრობა კოალიციურია. „სწორი გზის პარტიამ“ (თანსუ ჩილერის ხელმძღვანელობით) აიძულა ერბაქანი მთლიანად შეეცვალა თავისი პროგრამა და მხოლოდ ამის შემდეგ დათანხმდა კოალიციის შექმნას, პირობას გაძლევთ, რომ თურქეთის საგარეო პოლიტიკა იოტისოდენად არ შეიცვლება — მით, უმეტეს, არაფერი შეიცვლება მოძმე საქართველოსთან ურთიერთობაში — თურქეთი უსიტყვოდ შეასრულებს ყველა იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვალდებულებას, რომელიც იკისრა ორი ქვეყნის პრეზიდენტების სულეიმან დემირელისა და ედუარდ შევარდნაძის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტებით“.**

მუსტაფა ქალემლის განცხადება ლიტონი სიტყვები რომ ნამდვილად არ არის, თავად შეგვეძლო დავრწმუნებულიყავით, როგორ აშინებთ თურქეთში ფუნდამენტალისტთა გაძლიერება, — ეს ხომ პირდაპირი დარტყმაა ქვეყნის ეკონომიკაზე! მას შემდეგ, რაც ერბაქანის პარტიამ საპარლამენტო არჩევნებში გარკვეულ წარმატებას მიაღწია, დასავლური ინვესტიციები თურქეთის ეკონომიკაში რამდენიმე პროცენტით შემცირდა, ასევე რამდენიმე პროცენტით გაიზარდა ინფლაცია, საფრთხე შეექმნა ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ფარგლებში თურქეთის გავლენასა და ავტორიტეტს, „ნატო“ კი თურქეთს თავისი უსაფრთხოების უმთავრეს გარანტად მიაჩნდა და მიაჩნია. სტამბოლში ყოფნისას დავრწმუნდით, რომ ამ ქვეყანას რომელმაც (ისევე, როგორც იაპონიამ) შეძლო ეროვნული თვითმყოფადობის შეხამება დასავლურ ცივილიზაციასთან, შუასაუკუნეობრივ ბნელეთში უკვე ვერავითარი ძალა ვერ დააბრუნებს. თურქეთი დღეს ძლიერი, მდიდარი, დინამიკური ქვეყანაა, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტად ინტეგრირდება ევროპაში და თანდათანობით მისი სისხლხორცეული ნაწილიც ხდება, — სულ უფრო აქტიურად გამოდის საზოგადოებრივ ასპარეზზე ახალი მენტალიტეტის მქონე თაობა, რომლის მენტალური საფუძველია „ევროპეიზმი“. ამის გათვალისწინებით, საქართველოც ცდილობს დიდ მეზობელთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას და რეგიონალურ სისტემათა ფარგლებში ორმხრივი ურთიერთობების ინტენსიფიკაციას. სწორედ ამგვარი მცდელობის საკმაოდ წარმატებული მაგალითი იყო საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის მონაწილეობა სტამბოლის კონფერენციაში.

გია ლებანიძე,
„სრ“ სპეც კორ.
სტამბოლი—თბილისი.

ევროსაბჭო კვლავაც ხელს შეუწყობს საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას

(დასასრული)

ხაზეთში კონფლიქტის შესახებ, რომელიც, მისი შეფასებით, განსაკუთრებული პრინციპულობითა და კატეგორიულობით გამოირჩევა სხვა ანალოგიური დოკუმენტებისაგან, აგრეთვე, რუსეთისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის აქტიური ჩართვა ამ პროცესში იმედს იძლევა, რომ უახლოეს ხანში გამოიკვეთება აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარების რეალური კონტურები.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ სტუმრების ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ ევროპისა და საერთაშორისო სტრუქტურებმა არ გამოიყენეს ყველა შესაძლებლობა აფხაზეთში ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევების ალაკვეთად და, სამწუხაროდ, ჯეროვნად არ შეაფასეს ამ თვალსაზრისით კონფლიქტი აფხაზეთში.

ბატონებმა სიიმ კალასმა და დანიელ ტარშისმა დელეგაციის სახელით დაადასტურეს ევროსაბჭოს დაინტერესება — განამტკიცოს ურთიერთობა ამიერკავკასიის სახელმწიფოებთან და განსაზღვროს თანამშრომლობის პროგრამა მათი დემოკრატიული რეფორმების განხორციელებაში, ადამიანის უფლებათა დაცვასა და სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებაში ხელშეწყობის მიზნით, მათი შეფასებით, ამ ვიზიტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი ცხადყოფს რეგიონში მიმდინარე ცვლილებებს და განამტკიცებს იმ თანამშრომლობას, რომელიც ეფუძნება ევროსაბჭოს ფუნდამენტურ ღირებულებებს. თანამშრომლობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, როგორც ხაზგასმით აღნიშნეს სტუმრებმა, არის ის, რომ ევროსაბჭოს ქვეყნებმა ხელი შეუწყონ ერთმანეთს დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით სრულყოფილების მიღწევაში.

ევროსაბჭოს წევრობა არის არა მხოლოდ პატივი საქართველოსათვის, არამედ ევროპულ სტანდარტებთან ჩვენი რეალობის გათანაბრების შესაძლებლობა, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და მადლობა გადაუხადა სტუმრებს ჩვენი ქვეყნისადმი მხარდაჭერისათვის.

• • •

14 ივლისს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი შეხვდა ევროპის საბჭოს დელეგაციას და საუბრის შემდეგ გადასცა განაცხადი ამ ორგანიზაციაში სრულუფლებიანი გაწევრიანებისათვის. ეს დოკუმენტი ევროპაში საქართველოს ინტეგრირების და შესაბამის ვალდებულებებზე პასუხისმგებლობის აღების კიდევ ერთი დასტურია, — აღნიშნა მან.

• • •

ევროსაბჭოს დელეგაციის წევრების საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან მინდია უგრეხელიძესთან შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოს მართლმსაჯულების ახალი სისტემის შემუშავებასა და დამკვიდრებას.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ილაპარაკა აფხაზეთის ომსა და მის შემაძრწუნებელ შედეგებზე. მან აღნიშნა, რომ ამ საქმეში ევროპის ქვეყნების დროულ, ენერგიულ და ერთობლივ ძალისხმევას უდავოდ შეუძლია გადამწყვეტი როლის შესრულება.

ევროსაბჭოს მესვეურებმა კონკრეტული წინადადებები დასახეს მართლმსაჯულების სფეროში საქართველოსთან თანამშრომლობის გასაღრმავებლად და განსამტკიცებლად.

• • •

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრის დროს სტუმრებმა ინტერესით მოისმინეს მისი და ქართველი პარლამენტარების ინფორმაცია საქართველოში და მთლიანად რეგიონში არსებულ პოლიტიკურ პროცესებში პარლამენტის როლთან დაკავშირებით.

საქართველოს პარლამენტის ფრაქციებისა და შესაბამისი კომიტეტების თავმჯდომარეებმა ვრცლად ილაპარაკეს ამ საკითხებთან დაკავშირებით. სტუმრებს გააცნეს აფხაზეთში შექმნილი ვითარება.

• • •

ევროსაბჭოს დელეგაციის წევრები ეწვივნენ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს კახა თარგამაძეს, იუსტიციის მინისტრს თედო ნინიძეს, შეხვდნენ არასაპარლამენტო პარტიების საკოორდინაციო საბჭოს წევრებს, გამართეს პრესკონფერენცია ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის.

რუსეთის პრესის სარკეში

კაცს რა უნდა და—ცივი ღამეო

- **გენერალი როდიონოვი მინისტრი არ იქნება**
- **რუსეთელი დეპუტატები გაკოტრდნენ**
- **ელცინი ქალების დამფასებელია**

„იზვესტია“ გვამცნობს, რომ საქართველო, სავაჭრო წარმომადგენლობები უცხოეთში ჩემოდნებს ალაგებენ და შინ მიემგზავრებიან. როგორც გაზეთი იუწყება, მთავრობაში დარწმუნებული არიან, რომ ეს იძულებითი აქცია გავლენას არ იქონიებს ქვეყნის საგარეო-ეკონომიკურ კავშირებზე, თანაც დაზოგავს სახელმწიფოსათვის ესოდენ საჭირო ვალუტას. გარდა ამისა, საქართველოს საგარეო ვაჭრობის მოცულობა იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რომ საამისოდ სპეციალური შტატი იყოლიონ. მათი როლი გადაეცემა საელჩოთა მრჩევლებს ეკონომიკურ საკითხებში.

როგორც სააგენტო **„ინტერფაქსი“** იუწყება, „დემოკრატიული რუსეთის“ პარტიის ფედერალური საბჭო იმედს გამოთქვამს, რომ გენერალური შტაბის აკადემიის უფროსი იგორ როდიონოვი, მიუხედავად ლებედის რეკომენდაციისა, არ დაინიშნება თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე. პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა პონომარიოვმა განაცხადა: „გენერალმა როდიონოვმა სახელი გაიტეხა თბილისში 1989 წლის აპრილში, როდესაც საბჭოთა ჯარებმა დაარბიეს მიტინგი. ამიტომ ასეთ მაღალ პოსტზე როდიონოვის დანიშვნა გააუარესებს ურთიერთობას რუსეთსა და საქართველოს შორის“.

„იზვესტია“ აქვეყნებს თავისი მიმომხილველის ოტო ლაცისის ანალიტიკურ მასალას ეკონომიკურ პერსპექტივაზე რუსეთში. მიმომხილველი თვლის, რომ უახლოეს თვეებში გარანტირებულია ეკონომიკური კრიზისი, კერძოდ უმუშევრობისა და ხელფასის დავალიანების ზრდა.

იმავე თემაზე **„ნეზავისიმაია გაზეტას“** ფურცლებზე გულახდილად საუბრობს პრეზიდენტის თანაშემწე ალექსანდრე ლიფშიცი: „წინასაარჩევნო ბრძოლის შემდეგ ეკონომიკური პეიზაჟი არც თუ გაზამხნევებლად გამოიყურება“.

„მოსკოვსკიე ნოვოსტი“ კომენტარს უკეთებს არჩევნების შემდგომ სიტუაციას რუსეთში და მნიშვნელოვან პოლიტიკურ სვლად მიიჩნევს ანტიკომუნისტური პარტიული კოალიციის შექმნას პარლამენტში. თვლიან, რომ ამ შემთხვევაში სახელმწიფო სათათბირო მისი დღევანდელი შემადგენლობით განწირულია. ჟირინოვსკით კი მის „მემარჯვენე“ უმრავლესობას ძალა შესწევს დაამუხრუჭოს ნებისმიერი კანონის მიღება. ასეთ შემთხვევაში პრემიერ-მინისტრს სახელმწიფო სათათბიროში შეაქვს მთავრობისადმი ნდობის საკითხი და თუ სახელმწიფო სათათბირო ხმას მისცემს უნდობლობას, პრეზიდენტი ელცინი მას დაითხოვს. ასეა თუ ისე, — ასკვნის ყოველკვირეული, — კონფლიქტი ხელისუფლების განშტოებებს შორის გარდაუვალია.

რუსეთი, უკრაინა და ლატვია შეიძლება გარიცხონ ევროპის საბჭოდან იმის გამო, რომ ამ ქვეყნებში კვლავ მოქმედებს სიკვდილით დასჯა — გვამცნობს **„როსიისკაია გაზეტა“**.

„მოსკოვსკიე ნოვოსტის“ მოჰყავს ბელორუსიის პარლამენტის სპიკერის ს. შარეცკის სიტყვები: „თუ ბელორუსიაში რაიმე შეივალა კომუნისტური რეჟიმის მმართველობასთან შედარებით, მხოლოდ უარესობისაკენ“. აღბათ, იგულისხმება კონფრონტაცია, დევნა და პოლიტიკასთან დაკავშირებული სკანდალები, რომლებსაც პროვოკაციულად იწვევს თვით ხელისუფლება პრეზიდენტ ლუკაშენკოს სახით“. ამიტომ, გასაკვირი არ არის — წერს ყოველკვირეული, — რომ უმაღლესმა საბჭომ შესწორებები შეიტანა სისხლის სამართლის კოდექსში, რომლის თანახმად, პირი, რომელიც მოუწოდებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა შეურსულებლობისაკენ, დაისჯება სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით. ჟურნალისტი ვარაუდობს, ეს ვადა მხოლოდ ლუკაშენკოს თუ მიესადაგება, რომელმაც გამოსცა ბრძანებულება შეასრულონ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაუქმებული მისი გადაწყვეტილებები“.

„კრასნაია ზვეზდა“ იუწყება, რომ გაეროს ხუთი თვე გამოყოფ ტაჯიკეთაშორისი კონფლიქტის მოსაგვარებლად. თუ ამ ხნის განმავლობაში მოლაპარაკება შედეგს არ გამოიღებს, უშიშროების საბჭო პირობას იძლევა მიიღოს „სერიოზული ზომები“. არ აზუსტებენ, თუ რა იგულისხმება ამ ზომებში, მაგრამ გაეროს აქვს შესაძლებლობა კონტროლი დაუწესოს ოპოზიციის შეიარაღებულ რაზმებს.

წინასაარჩევნო შეხვედრა-შემოხვლის დროს როგორღაც შეუმჩნეველი დარჩა პრეზიდენტის „ფემინისტური“ ბრძანებულება „სახელმწიფო ხელისუფლების ფედერალური ორგანოების სისტემაში ქალების როლის ამაღლების შესახებ“. ელცინის აზრით, ამიერიდან რუსეთის ქალებმა უფრო ღირსეული ადგილი უნდა დაიკავონ სახელმწიფო მმართველობაში. ბრძანებულების საფუძველზე დაწესდება სახელმწიფო საქმეებით მშვენიერი სქესის დასაქმების მინიმალური ლიმიტი. ამაზე მოგვითხრობს **„კომსომოლსკაია პრავდა“**. ქალებმა ელცინს სამაგიერო მიუზღეს, როცა პარლამენტის ქალთა ფრაქციის ხელმძღვანელობით მას თავიანთი ხმები მისცეს არჩევნების მეორე ტურში.

ჟირინოვსკის დავიწყება არჩევნების შემდეგაც კი შეუძლებელია,— თვლის **„იზვესტია“**. ჩანს, პირადად მასაც ასე მიაჩნია, რამდენადაც რუსეთის ერთ-ერთმა საათების ქარხანამ დაიწყო საათების გამოშვება, რომლის ციფერბლატზეც გამოსახულია ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი. ეს იმას ნიშნავს, რომ ჟირინოვსკი მისი თანაპარტიელების ხელებზე მაინც იწიკწიკებს.

პლაჟებზე დასვენების ფულიანი მოყვარულების საყურადღებოდ **„ფინანსოვიე იზვესტია“** იტყობინება, რომ „ამ ზაფხულის ყველაზე სუფთა პლაჟები საბერძნეთშია“. ეკოლოგიური უსაფრთხოების მაღალი რეიტინგი მიიღო ესპანეთმაც. შემდეგ მოდიან ირლანდია, დიდი ბრიტანეთი და გერმანია. ბოლო ადგილზე აღმოჩნდნენ საფრანგეთი და ნიდერლანდია. საქართველოზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ ის მაინც გავიგეთ, რომ საფრანგეთის ზღვისპირეთში ღირს წასვლა.

იმ სპეციალისტთა მოწმობით, რომელთა აზრიც მოჰყავს **„იზვესტიას“**, გათბობის, განათების სისტემაში გაუთავებელი ავარიების გამო ნორილსკში მკვეთრად იმატა შობადობამ. ერთი სიტყვით, ისე თბებიან, როგორც ძალუძთ. საინტერესოა, რა გავლენა მოახდინა ბნელმა და ცივმა ზამთრებმა საქართველოს დემოგრაფიულ სიტუაციაზე?

იური მოსეშვილი.

სურათზე: „ჩაეწერე თავდაცვის მინისტრად?“ ამ სათაურით „კომსომოლსკაია პრავდამ“ გამოაქვეყნა წერილი რუსეთის არმიის უმაღლეს პოსტზე დანიშვნის განაცხადების შესახებ.

ფოტოკოლაჟზე აღბეჭდილნი არიან: პაველ გრაჩოვი, გენერლები — როდიონოვი, ნიკოლაევი, კობეცი.

გამოძიება ბრალს სდებს

აფეთქება, რომლის ხმაც მსოფლიოს გადასწვდა

ერთი სისხლის სამართლის საქმის ანატომია

2. მღვრიე სათავე

თავიდან დავიწყებ-მეთქი, ამ სიტყვებით დავამთავრე პირველი წერილი.

ეს „თავიდან“ — „მხედრიონის“ სათავეა. მღვრიე სათავე.

80-იანი წლების მიწურულს, საბჭოთა კავშირის ნგრევის პარალელურად, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა აზვავდა. ჯერ ღრიჭოდ შეღებულ, მერე კი ანჯამებამდე მოღიავებულ სარკმელში შემოჭრილი თავისუფლების ბორიოთი დამთვრალი ხალხი დაეხარბა პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ ფორმირებებს, რომელთაც მიზნად დაისახეს დამოუკიდებლობის აღდგენა, არსებული კომუნისტური რეჟიმის დამხობა და დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება.

სოციალისტური მენტალიტეტის ეროვნულ-დემოკრატიულით შეცვლის პროცესს თან აგრესიული ნაციონალიზმისა და აგრესიული სეპარატიზმის აღზევება სდევდა.

ამ მოვლენების განვითარებას ხელი შეუწყო ტოტალიტარიზმისადმი ხალხის შინაგანმა მძლავრმა სტიქიურმა პროტესტმა და... ხელისუფლების ვაკუუმით გამოწვეულმა დაუსჯელობის სინდრომმა.

ლონედაშრეტილი სახელმწიფოსაგან თავის ნებაზე მიშვებულმა, მაფიოზურ კლანებთან მჭიდროდ დაკავშირებულმა ამ ძალებმა თავად დაიწყეს სახელმწიფოს გაკონტროლება და მის სადავეებსაც კი დაუმიზნეს.

ასეთ ვითარებაში იშვა და ამოიწვერა სამხედრო-პატრიოტული ორგანიზაცია „მხედრიონი“, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო წარსულში სამგზის მჯავრდებული, „კანონიერი ქურდი“ ჯაბა იოსელიანი.

თუ დასაწყისში — 1988 წლის სექტემბერ-ოქტომბერში „მხედრიონში“ ორ ათეულამდე კაცი იყო გაერთიანებული, მერე და მერე, განსაკუთრებით, — 1989 წლიდან, საკმაოდ მომძლავრდა. ახალგაზრდობას იზიდავდა მის მიერ გამოცხადებული მიზანი — საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლა.

სწორედ ამიტომ იყო, რომ ამ ორგანიზაციაში ბევრი პატრიოტულად განწყობილი მოქალაქე მივიდა.

მაგრამ თავიდანვე დამაფიქრებელი იყო ისიც, რომ მას მიაწყდნენ წარსულში სხვადასხვა დანაშაულისათვის ნასამართლევი ე. წ. ქურდული ტრადიციების მატარებელი, ეროვნულ იდეას ამოფარებული ხელმოცარული ადამიანებიც.

„საქართველოს მხედრიონი“ — მაშველთა კორპუსი ღია ორგანიზაციაა. მიღება თავისუფალია... აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს, როგორც ღვიძლი ძმები, ჯერ ცხოვრებაში გამოუცდელი ახალგაზრდები, ასევე, რუსეთისა და საქართველოს ციხე-ბანაკებში ნატანჯი, გზააბნეული ახალგაზრდები. აქვე იყო ინტელიგენციის ერთი ნაწილიც. „საქართველოს მხედრიონში“ ხდებოდა მათი პატრიოტული აღზრდა და პიროვნული ჩამოყალიბება. აქ ხედავდნენ ისინი იმ სამართლიანობას, რაც სხვაგან არსად შეხვედრიათ ცხოვრებაში: რამდენიმე ნარკომანიც შემოერია „მხედრიონის“ რიგებს, მაგრამ უმეტესმა მათგანმა მიატოვა ეს ჩვევა და თუკი ვინმე კიდევ იყო დარჩენილი, დღე-დღეზე მოიშლიდა, თუ არადა დატოვებდა ჩვენს რიგებს“.

ეს არის ამონარიდი 1991 წლის 12 მაისს ციხეში ჯაბა იოსელიანის დაწერილი „საქართველოს მხედრიონის“ ანგარიშიდან საქართველოს მოსახლეობისადმი (გაზ. „მხედრიონი“, 1995 წ. 12 იანვარი).

ეს დოკუმენტი, რომელსაც ქვევით რამდენჯერმე კიდევ მოვიხმობ, ბევრ რამეში აკვალიანებს მკითხველს.

კერძოდ, თუ რა ძალები შეადგენდა „მხედრიონის“ ბირთვს, ვინ იყვნენ ეს „ციხე-ბანაკებში ნატანჯნი“ და რა „სამართლიანობის“ საფუძველზე ხდებოდა მათი „პიროვნული ჩამოყალიბება“.

რაც შეეხება „რამდენიმე ნარკომანს“, აქ ბევრ რამეში „გვიმეგზურებს“ ჯაბა იოსელიანის კაბინეტში ჩხრეკისას აღმოჩენილი „აფთიაქი“.

ორი ცივილიზაციის ზღურბლზე მდგარი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში „მხედრიონის“ ბაზაზე შეიქმნა მყარად ორგანიზებული, შეიარაღებული, სტაბილური შემადგენლობისა და ორგანიზაციული სტატუსის მქონე მობილური ჯგუფები.

იდეოლოგიური დასაბუთება ასეთი გახლდათ: „საქართველოს მხედრიონმა“ შექმნა ქართველ მაშველთა კორპუსი, როგორც საქართველოსათვის ერთადერთი გამართლებული სამხედრო ორგანიზაცია, რომლის პრაქტიკაში ჩასახულია ქართული ჯარის, პოლიციისა და მაშველთა ჯგუფების ერთიანობა... „საქართველოს მხედრიონს“ აქვს საკუთარი კონცეფცია: ჩვენი ხასიათიდან, ფსიქიკიდან, გარემოცვიდან, ტრადიციებიდან და ეკონომიკური შესაძლებლობიდან გამომდინარე ქართული მხედრობის შექმნის გეგმა და პრაქტიკაც; „საქართველოს მხედრიონს“ მიაჩნია, რომ ყველა შეიარაღებული ძალა დამორჩილებული ერთ რომელიმე პარტიას, პარტიების ჯგუფს ან ერთ პიროვნებას, გინდაც ის იყოს პრეზიდენტი, დიდი ბოროტების სათავეა“. („ანგარიში“).

ბოროტების სათავე კი სწორედ ის იყო, რომ საქართველო მოიფინა „მხედრიონის“ ბაზაზე შექმნილი, ხელისუფლების მიერ უმართავი შეიარაღებული ჯგუფებით, რომელთა მეთაურებადაც სხვადასხვა დროს დაინიშნენ სიმონ არაქელოვი (გურჯაანში), ბონდო მიქაძე (თელავში), ნოდარ კირკიტაძე (ყვარელში), სპარტაკ ბურდულაძე (სიღნაღში), გია გაფრინდაშვილი (ლაგოდეხში), გივი გოგილაშვილი (დედოფლისწყაროში), გიორგი ვაშაკიძე (სამტრედიაში), გელა გოდერძიშვილი (საგარეჯოში. იგი, ამავე დროს, კახეთის სადროშოს მეთაურიც იყო)...

არც მალავდნენ, რომ კბილებამდე იყვნენ შეიარაღებულები:

„ჩვენ არ უარვყოფთ იმ ფაქტს, რომ „საქართველოს მხედრიონს“ — როგორც სახალხო ლაშქრის ტიპის ფორმირების თუ გასამხედროებული მხსნელების ორგანიზაციის — წევრთა ნაწილს გააჩნია პირადი იარაღი“ („საქართველოს მხედრიონის“ მიმართვა ქართველი ხალხისადმი“ — 1990 წელი. გაზ. „მხედრიონი“, № 1, 1994 წ.), რადგან, თურმე: „ქართველი კაცი დღეს არ შეიძლება იყოს უიარაღო, როცა მოსახლეობის მეტ ნაწილს ექნება იარაღი, მაშინ იმას ვერავინ გაუბედავს ჰაიჰარად მიუხტეს, გზაში დახვდეს, შეურაცხყოფა მიაყენოს და სხვა... ეს სიყალბე კომუნისტების დაკანონებულია და ახასიათებს ყველა მშიშარა და ხალხთან არასწორი დამოკიდებულების მქონე ხელისუფლებას“. („ანგარიში“).

რესპუბლიკაში ხელოვნურად გამოწვეული ეთნოკრიზისებისა თუ ზოგიერთ რეგიონში ქართველი ერის წინაშე მდგომი სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში „მხედრიონის“ ჩარევისა და მონაწილეობის მიღების (რამდენიმე ასეთი ჩარევა და მონაწილეობა მან მართლაც განახორციელა) აუცილებლობის საბაბით, „მხედრიონის“ ჯგუფები გეგმიურად, თითქმის ლეგალურად ესხმოდნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და საწარმოებს, სამხედრო თუ გასამხედროებულ ნაწილებს, შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებებსა და ავტოინსპექციის საგუშაგოებს, ძარცვავდნენ პირებს და ეუფლებოდნენ მათ კუთვნილ ქონებას: ტექნიკურ აღჭურვილობას, ტრანსპორტს, შენობა-ნაგებობებს, ცეცხლსასროლ იარაღს, საბრძოლო და ფეთქებად მასალას, სხვა მატერიალურ ფასეულობებს. ფაქტობრივად დაადამბლავეს ადგილებზე ხელისუფლებისა და სამართალდამცავი ორგანოების მუშაობა, ტერორისა და შიშის ქვეშ მოიქციეს მოსახლეობა, სამეურნეო მუშაკები.

ეს „რეკვიზიცია“ ვითომცდა ხდებოდა ნებაყოფლობით, მაღალი მიზნების შესაბამისად: „საქართველოს მხედრიონმა“ დაიწყო „დოსააფის“ და „ვეოს“ გაერთიანება მაშველთა კორპუსში, რითაც პირველი ნაბიჯები გადაიდგა ეროვნული ინტერესების დამცველი მძლავრი ორგანიზაციის შექმნისაკენ“ („ანგარიში“).

მაგრამ შუბს ხალთაში ვერ დამალავ. საზოგადოებრიობა ჩქარა გაერკვა საქმის ჭეშმარიტ არსში. აკი თვითონვე წერენ — უკვე 1990 წელს: „ოპონენტებმა“ „საქართველოს მხედრიონისა“ და მისი წევრებისაგან დაიწყეს „მტრის“ სახის შექმნა, „მხედრიონის“ წარმოსახვა ბანდად, რომლისგანაც ვითომცდა სიბოროტისა და ზიანის გარდა არაფერია მოსალოდნელიო“ („მიმართვა“).

მაგრამ ეს არ იყო „წარმოსახვა“. სამწუხარო და საშიში რეალობა იყო.

ძიების მასალები ცალსახად მიუთითებს, რომ დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებას ისინი იყენებდნენ როგორც პირადი მატერიალური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, ისევე ორგანიზაციის არსებობის სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად. კომუნისტური ხელისუფლების პოლიტიკურად ატროფირებული ძალების ხელშეწყობით მიაღწიეს კიდეც იმას, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 17 სექტემბრის № 495 დადგენილებით „მოქალაქეთა გაერთიანების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად, მოხდა „მხედრიონის“ ბაზაზე ჩამოყალიბებული ქართველ მაშველთა კორპუსის წესდების რეგისტრაცია და კომერციულ ბანკ „ივერთბანკში“ გაიხსნა საანგარიშსწორებო ანგარიში № 700069, რომელიც 1990 წლის ოქტომბრიდან, ფაქტობრივად, გამოიყენებოდა დაწესებულება-ორგანიზაციებიდან თავდასხმების, გამოძალვის, შანტაჟის, მუქარის გზით მიღებული ფულადი თანხების გადასარიცხად.

მაგრამ ეს დადგენილება ღლენკეული გამოდგა.

გავიდა სულ რაღაც ორთვენახევარი...

ამ ორთვენახევარში ბევრი რამ მოხდა ქვეყნის ცხოვრებაში.

უწინარეს ყოვლისა ის, რომ დაემხო კომუნისტური რეჟიმი, 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებმა ახალი გეზით წარმართა საქართველოს ისტორია.

და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 5 დეკემბრის № 731 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა № 495 დადგენილება „ქართველ მაშველთა კორპუსის წესდების რეგისტრაციის შესახებ“.

მაგრამ მთავრობის დადგენილებით „მხედრიონის“ გაუქმების მიუხედავად, როდესაც მას ჩამოსცილდა პატრიოტული მიზნით შესული ახალგაზრდების დიდი ნაწილი, ორგანიზაციამ კვლავ გააგრძელა საქმიანობა და არაერთი მძიმე დანაშაული ჩაიდინა (ბარემ აქვე ვიტყვით, რომ „მხედრიონის“ პატრიოტი ვაჟკაცები კვლავ შეივსო აფხაზეთის ომის პერიოდში და ბევრი მათგანი გმირული სიკვდილით დაეცა სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში. სამარადისო დიდება მათ!).

კიდევ ორთვენახევრის შემდეგ, 1991 წლის თებერვალში, მრავალი მძიმე დანაშაულის ბრალდებით, მაშველთა კორპუსის („მხედრიონის“) ხელმძღვანელები ჯაბა იოსელიანი, ზაზა ვეფხვაძე, თეიმურაზ ყურაშვილი და სიმონ არაქელოვი დააპატიმრეს და პასუხისგებაში მისცეს დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლით.

გამოძიების პროცესში ამ სისხლის სამართლის საქმეს წარმოებით გაუერთიანდა სხვადასხვა დროს თელავის, გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, თბილისის ვაკის რაიონების პროკურატურებსა და შინაგან საქმეთა განყოფილებებში აღძრული სისხლის სამართლის საქმეები, იმის გათვალისწინებით, რომ დანაშაულებათა ჩადენაში იმხილებოდნენ „მხედრიონის“ ერთი და იგივე წევრები.

ყველა დანაშაულს ვერ ჩამოთვლი, ყველას შესახებ ვერ დაწერ.

მაშინ პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფივით მთელი ტომები უნდა დაწერო.

არც არის საჭირო.

დაუსრულებელი: „გაძარცვეს“, „თავს დაესხნენ“, „გაიტაცეს“, „დააშანტაჟეს“, „იარაღის მუქარით აიძულეს“... ნაცვლად, უმჯობესია, რამდენიმე „კრებსითი“ მონაცემი გაგაცნოთ.

ალეკო ასლანიშვილი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

შსს უფლებამოსილია განაცხადოს...

ზოგიერთმა საინფორმაციო საშუალებამ პრესითა და ტელევიზიით გაავრცელა დეზინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს საქართველოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ კოდორის ხეობაში შეიყვანეს შინაგანი ჯარების ნაწილები.

აღნიშნულთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო უფლებამოსილია განაცხადოს:

მიმდინარე წლის ივლისის დამდეგს, კოდორის ხეობის მოსახლეობის დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით, აღნიშნულ რეგიონში შეყვანილია პოლიციის ქვედანაყოფი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და კრიმინოგენული სიტუაციის გაკონტროლების მიზნით.

პოლიციის ამ ქვედანაყოფს სამხედრო ხასიათის რაიმე დავალება არ მიუღია და იგი მის კომპეტენციაში არ შედის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ეს გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების მიზნით მიღწეულ არცერთ შეთანხმებას.

შინაგან საქმეთა სამინისტრო.

მატარებლის კატასტროფას ორი ადამიანი შეეწირა

აზიის ერთ-ერთი ცენტრალური რესპუბლიკის კუთვნილი ხორბლით დატვირთული საბარგო მატარებლის კატასტროფას, რომელიც 5 ივლისს მოხდა სადგურ ხარაგაულთან, ორი ადამიანი შეეწირა, დაშავდა ერთი თანმხლები პოლიციელი. კატასტროფა გამოიწვია ამ შემადგენლობის აზერბაიჯანის რკინიგზის კუთვნილი ორი ვაგონის თვლების არასრულფასოვანმა მექანიზმმა. აზერბაიჯანის მხარის წარმომადგენლებთან ერთად ერთობლივად მოწყობილი ექსპერტიზის შემდეგ ასეთი დასკვნა გამოიტანა საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტის მოძრაობის უსაფრთხოების მთავარი რევიზორის სამსახურის ხელმძღვანელობამ.

რაც შეეხება ხორბალს, რომელიც ავარიის დროს დაიფანტა, საქართველოს მხარე მთელ ამ მოცულობას უახლოეს ხანში ნატურით აუნაზღაურებს მიმღებს. და მაინც, ამ ფაქტის გამო, მუშაობს სპეციალურად შექმნილი სახელმწიფო კომისია, ხოლო გამოძიების მასალებს საბოლოო სახით გადასცემენ სატრანსპორტო პროკურატურას.

საქინფორმი.

თეატრში განხეთქილების მიუხედავად

10 აგვისტოს კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრი მიემგზავრება ედინბურგის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. წარმოდგენილი იქნება შექსპირის „მეფე ლირი". რეჟისორი — დავით დოიაშვილი, მთავარ როლში — ოთარ მეღვინეთუხუცესი.

გაერთიანება პარტიად გარდაიქმნა

საზოგადოებრივ-სამართლებრივი გაერთიანება გარდაიქმნა საქართველოს ლეიბორისტულ პარტიად. პარტიის თავმჯდომარედ არჩეულია შალვა ნათელაშვილი.

ლეიბორისტული პარტიის პოლიტ[illegible] კომი.

სიმღერა აღდგენილია!

თავისებური ბედი ხვდა ქართველი ხალხის საყვარელი კომპოზიტორის რევაზ ლაღიძის სიმღერა-კანტატას „გვიხმობს სამშობლო" (სოლისტის, გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის), რომელიც 50-იანი წლების მიწურულში დაიწერა პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის სიტყვებზე. მასში მნიშვნელოვანი კორექტივი შეიტანა თვით დრომ, იმ ეპოქამ, რომელშიც კომპოზიტორი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

ამ სიმღერამ, რომლის ხელნაწერი დაცულია კომპოზიტორის ოჯახში, უმალვე მიიპყრო ყურადღება თავისი პატრიოტული სულისკვეთებით, მხედრული პათოსით, მედგარი ხასიათით, ომახიანი ინტონაციით, ზეაწეული საზეიმო განწყობილებით. იგი უმალვე მასობრივი სიმღერის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენდა და დიდ ზემოქმედებას ახდენდა.

და აი, 60-იანი წლების დასაწყისშივე რევაზ ლაღიძის ეს პატარა შედევრი იდეოლოგიური პრესის ქვეშ მოექცა, ცვლილებები განიცადა სიმღერის ტექსტმა და სახელწოდებამ. ნაწარმოებმა პოლიტიკური ჟღერადობა მიიღო და იდეოლოგიური პროპაგანდის იარაღადაც გადაიქცა.

ასე დაიბადა ოდა „დიდება პარტიას", რომელიც იმდროინდელი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა და დიდი პოპულარობითაც სარგებლობდა. ასე და ამრიგად, პარტიული ჰიმნის ავტორებად იქცნენ უპარტიო კომპოზიტორი და უპარტიო პოეტი. არც რევაზ ლაღიძე და არც პეტრე გრუზინსკი არასოდეს ყოფილან კომუნისტური პარტიის წევრები. ასეთი პარადოქსებიც დამახასიათებელი იყო იმ უკუღმართი ეპოქისათვის.

გავიდა დრო. დადგა 80-იანი წლები. ჩვენს თვალწინ მოხდა უზარმაზარი ისტორიული ძვრები, რა გასაკვირია, რომ წაიშალა რევაზ ლაღიძის ამ დიდებული ნაწარმოების კვალი, რაც ქართული მუსიკალური კულტურისათვის დიდი დანაკლისია.

დღეს ეს დანაკლისი შევსებულია. საზოგადოებაში შექმნილი აზრის გათვალისწინებით, საქართველოს კულტურის მინისტრის ვალერი ასათიანის თაოსნობითა და კომპოზიტორ იოსებ კეჭაყმაძის რედაქტორობით რევაზ ლაღიძის ეს სიმღერა აღდგენილია თავისი პირვანდელი სახით. მოხდა ამ შესანიშნავი ქმნილების რეაბილიტაცია: — გაკეთდა ახალი აუდიო-ვიდეო ჩანაწერი თბილისის სიმფონიური ორკესტრისა და ნიკო სულხანიშვილის სახელობის საქართველოს სახელმწიფო კაპელას მონაწილეობით. დირიჟორები — ჯანსულ კახიძე და გივი მუნჯიშვილი. გამოსაცემად მზადდება კლავირიც. კეთდება ვარიანტი სასულე ორკესტრისათვის, რაც დიდად შეუწყობს ხელს ახალგაზრდა ქართველი მეომრების მხედრული სულისკვეთების ამაღლებას, საგუნდო კოლექტივების რეპერტუარის გამდიდრებას.

რევაზ ლაღიძის მეორედ დაბადებული სიმღერა „გვიხმობს სამშობლო" ახალ სიხარულს მოუტანს მსმენელს.

მანანა ახმეტელი.

გთავაზობთ „გვიხმობს სამშობლოს" თავდაპირველ ვარიანტს.

გვიხმობს სამშობლო

როცა მოგვიხმობს ! სამშობლო,
აგუგუნდება მთა-ბარი,
მამულს შესწიროს სიცოცხლე,
ყველა ჩვენგანი მზად არის.
თამარის ნათელით ქართველი ერი სულით ბრწყინდება,
მარად წინ ვიაროთ, მერმისი უკეთეს დღეს გვპირდება,
სამშობლოს მომავალს ვუმღეროთ : დიდება,
დიდება სამშობლოს, სამშობლოს დიდება!

ფარად დავდგებით სამშობლოვ,
შენს ცას და მიწას დავიცავთ,
თავისუფლება მამულის,
გულზე გვეწეროს საფიცრად.
უშრეტი მხნეობით, ქართველი ერის სული ბრწყინდება,
მარად წინ ვიაროთ, მერმისი უკეთეს დღეს გვპირდება,
სამშობლოს მომავალს ვუმღეროთ დიდება,
დიდება სამშობლოს, სამშობლოს დიდება!

თაობა

სურვილით და რუდუნებით

როგორც ვიუწყებოდით, 6 ივლისს დაიწყო სტუდენტური ექსპედიცია „ძეგლი-96". საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში გაემგზავრა 15 უმაღლესი სასწავლებლის 400 სტუდენტი, რომლებიც უკვე შეუდგნენ საქართველოს ისტორიული და კულტურული ძეგლების აღდგენა-გასუფთავების სამუშაოებს. დმანისის, ქობულეთის, გურჯაანის, მცხეთის რეგიონების ხელმძღვანელთა თანადგომა სანიმუშოა.

თბილისის მერიამ მთლიანად უზრუნველყო სტუდენტებისა და ქართული სკაუტური მოძრაობის ორგანიზაციის ნაკრების ორმოცკაციანი რაზმისა და ფიზკულტურისა და სპორტის აკადემიის ოცკაციანი რაზმის განთავსების, სამუშაო და საცხოვრებელი პირობების მოგვარების საკითხები ახალგაზრდულ კომპლექს „შავნაბადასა" და ქვემო ბეთლემის სამონასტრო კომპლექსში.

ბათუმში, საერთაშორისო შეხვედრაზე

17-21 ივლისს ბათუმში გაიმართება ახალგაზრდული ორგანიზაციების საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ევროპის ახალგაზრდული ორგანიზაციების ნაციონალური საბჭოს თავმჯდომარეები, ევროკავშირის პასუხისმგებელი თანამშრომლები, აგრეთვე ჩრდილოეთ ოსეთის, ინგუშეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. კონფერენციის მსვლელობის დროს დაფუძნდება სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების ეროვნული სტრუქტურების ფორუმი.

მასალები მოგვაწოდა სახელმწიფო კანცელარიის კულტურის, მეცნიერებისა და განათლების განყოფილებამ.

XEROX და HEWLETT PACKARD
ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში
გთავაზობთ ყველაფერს ოფისისათვის

ასლგადამღები აპარატები	
• საშინაო: XEROX XC520, 5009 1:1, 5310	1133 - 2374 ლარი
• საშუალო სიმძლავრის: XEROX 5614, 5316, 5317, 5621	3386 - 10400 ლარი
• დიდი სიმძლავრის: XEROX 5328, 5334, 5343, 5352	6746 - 31443 ლარი
• საინჟინრო: XEROX 2515, 3030	10752 - 23296 ლარი
ფაქსიმილური აპარატები	
• XEROX 7235, 7238, 7239 (ავტომოპასუხით), 7245	765 - 890 ლარი
• XEROX 3006 (მრავალფუნქციონალური)	2 860 ლარი
კომპიუტერები	
• HP Vectra VE-486: 486DX4-100, 8/420/1.44/SVGA 14"	2874 ლარი
• HP Vectra VL-3: Pentium 90, 8/840/1.44/SVGA 14"	4490 ლარი
• HP Vectra VT: Pentium Pro-200, 32/1GB/1.44/SVGA 14"	12525 ლარი
პრინტერები	
• ჭავლური HP DeskJet : 340; 660; 1600; XEROX XJ-5	653 - 2662 ლარი
• ლაზერული HP LazerJet: 5L; 5P; 4; XEROX 4505/08/10/20	1152 - 3910 ლარი
• ლაზერული ფერადი: HP Color LazerJet; XEROX 4900/20	14861 - 16512 ლარი
პერიფერია	
• შავთეთრი და ფერადი სკანერები HP Scanjet 4S/4P/4C/4SI	768 - 5939 ლარი
• მულტიმედია, სტაბილიზატორები, უწყვეტი კვების აპარატები, ქსელის მოწყობილობა და სხვა	
უმაღლესი ხარისხის საკანცელარიო ქაღალდი	
• XEROX "Business" A4, 80 გ/სმ (500 ფურცელი შეკვრაში)	10 - 12 ლარი
• XEROX "Business" A3, 80 გ/სმ (500 ფურცელი შეკვრაში)	20 - 23 ლარი
• XEROX-ის სხვადასხვა ფერისა და წონის (160-200 გ/სმ -მდე)	18 - 25 ლარი
• ფაქსის ქაღალდი	6 - 7 ლარი
იტალიური, უნგრული და ბულგარული საოფისე ავეჯი	
• მაგიდები, სავარძლები, სკამები, კარადები, რბილი ავეჯი	

ჩვენი მისამართია: თბილისი, შავთელის ქ. 5/7, ტელ: 98-36-31, ფაქსი: 98-96-58
წარმომადგენლობა: ზუგდიდი, ფირმა «მეგო». ცოტნე დადიანის ქ. 1 ტელ: 2-40-82

ზაფხულია ცხელა, ცხელა...

ამინდის ბიურო გვაიმედებს...

ივლისი რომ ყველაზე ცხელი თვეა საქართველოში, ეს ყველასათვის კარგად არის ცნობილი, მაგრამ, წელს განსაკუთრებით ცხელა ივლისში.

რით არის გამოწვეული ასეთი პაპანაქება და როგორი ამინდია მოსალოდნელი უახლოეს დღეებში? — ამ კითხვაზე თბილისის მეტეოროლოგიური პროგნოზების განყოფილების უფროსმა **დოდო გვაზავამ** გვიპასუხა:

— ყველაზე მაღალი ტემპერატურა — 39 გრადუსი სიცხე 10 ივლისს იყო ზუგდიდში. იმ პერიოდში დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებში 33-34 გრადუსი აღინიშნა, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში კი — 30-32 გრადუსს აღწევდა. ამ დროს ზოგან იწვიმა კიდეც, მაგრამ სიცხეები კვლავ გაგრძელდა, მხოლოდ მცირედ დაიწია. ეს პროცესი იმით არის გამოწვეული, რომ დასავლეთის მხრიდან შემოსვლა იწყო გრილი ჰაერის მასამ, რის გამოც, სიცხემ დასავლეთ საქართველოს ბარში 33-35, სანაპირო რაიონებში 24-29, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში კი 32-35 გრადუსამდე დაიწია.

ახლა რაც შეეხება პროგნოზს. 18 ივლისიდან შედარებით აგრილდება. ამას დასავლეთ საქართველოში 17 ივლისის დღის მეორე ნახევრიდან იგრძნობენ, შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთიდან შემოვა გრილი ჰაერის მასა, რომელიც გამოიწვევს ტემპერატურის ორი-სამი გრადუსით დაწევას.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარში აგრილებას 19 ივლისიდან უნდა ველოდოთ, ამ პერიოდში დაუბერავს დასავლეთის ქარი, წამოვა წვიმა. ზოგან სეტყვაც არის მოსალოდნელი. ტემპერატურაც 30-32, ზოგან 34 გრადუსამდე დაიწევს.

საკუთარი ინფორმაცია.

პრესა

ინფორმაციის თავისუფლება და მას-მედია

ამერიკულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ — საერთაშორისო საქმეთა ეროვნულმა დემოკრატიულმა ინსტიტუტმა, ახალგაზრდა იურისტთა და დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ასოციაციებთან ერთად, გუდაურში მოაწყო კონფერენცია ინფორმაციის თავისუფლებისა და დამოუკიდებელი მას-მედიის საკითხებზე.

კონფერენციაზე მოწვეული იყვნენ პარლამენტის წევრები, რომლებიც მუშაობენ კანონპროექტებზე ინფორმაციის თავისუფლების, სახელმწიფო საიდუმლოს და მას-მედიის შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პარლამენტის აპარატის თანამშრომლები, ჟურნალისტები.

განიხილეს სამთავრობო ინფორმაციის მისაწვდომობის, საინფორმაციო პოლიტიკის ჩამოყალიბების, არსებული კანონმდებლობის ნაკლოვანებებისა და ახალი კანონმდებლობის შემუშავების საკითხები. უცხოელმა ექსპერტებმა ისაუბრეს ამ სფეროებში საერთაშორისო გამოცდილებაზე.

ჩვენი კორესპონდენტის, კონფერენციის მონაწილის მზია გელინავას წერილს გუდაურის შეკრების შესახებ გაზეთის უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

გაზეთის ახალი ნომერი

ფართომასშტაბიანი ოპერაცია... სიცილით

როგორ, რა ხერხებითა და მეთოდებით ვებრძოლოთ ჩვენში ასე ღრმად ფესვგადგმულ, მომძლავრებულ და გალაღებულ კორუფციას, რეკეტსა და მაფიას, ქვეყნის ხვალინდელ სინათლეს რომ ადგას შავი ღრუბელივით თავს?

ერთნი ფიქრობენ, რომ საჭიროა სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის კიდევ უფრო გააქტიურება, მკაცრი კანონების შემოღება, ამ კანონების შესრულებაზე მთელი საზოგადოების კონტროლის დაწესება...

გაზეთ „სიცილიას" გამომცემელნი და მთავარი რედაქტორი (თეიმურაზ გძელიძე) კი თვლიან, რომ ამ საქმეში „პირველი ვიოლინო" გახლავთ... სატირა და იუმორი — მზის და მთვარის შუქზე გამოყვანა იმ პირთა, ვინც ხორცმეტებად, წურბელებად, ქვეწარმავლებად მოევლინენ ჩვენს ნორჩ ქვეყანას; შემდეგ მათი დახარისხება-დაკომპლექტება ჯურისა და სახეობების მიხედვით და შეუბრალებელი გამათრახება, გაშოლტვა ისევ და ისევ... სიცილით!

მაფიოზების, თაღლითების, ყაჩაღების, კორუმპირებულ თავხედთა წინააღმდეგ ფართომასშტაბიან, გრძელვადიან, უვადო ბრძოლას „სიცილია" წარმართავს ახალი ნომრის (5) პირველი გვერდიდანვე და წითელ-ყვითელ-მწვანე და ლურჯ ფერებად აგრძელებს გაზეთის მთელს „მოედანზე" — აქვეყნებს „დადგენილებას სახელმწიფო, საბანკო და კერძო სტრუქტურებში მოკალათებულ მაფიოზთა საყურადღებოდ"; ბეჭდავს საყურადღებო სტრიქონებს რუბრიკით „წუთისოფლის სიჭრელეში", მსგავს აზრებს ატარებს „ბახ ტვინოს" გამონათქვამებში; მხატვრების მურთაზ აბაშიძის, ია გოგოლაშვილის, ვახტანგ კუციას, ჯემალ ლოლუას, ზაალ და ზურაბ სულაკაურების, მანანა ქავთარაძის ნახატებში.

ერთი სიტყვით, ეს სატირულ-იუმორისტული გაზეთი არ ღალატობს თავის კრედოს — „კოზა ნოსტრა" სიცილია.

ანზორ გასილაია.

გთავაზობთ
საწერ, საბეჭდ და
ქსეროქსის
ქაღალდს
უნაღდო ანგარიშსწორებით,
ადგილზე მიწოდებით.
☎ 38-91-64; 39-84-05

გახსენება

გივი ხახანაშვილი



მიმდინარე წლის 10 აპრილს ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **გივი ნიკოლოზის ძე ხახანაშვილი** — ქართული ონკოლოგიის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, მაღალი კვალიფიკაციის ქირურგი, თეორიულად მომზადებული მკურნალი, მრავალმხრივ განათლებული პიროვნება. რაფინირებული ინტელიგენტი, რომელიც იყო და დარჩება კოლეგებისა და პაციენტების ხსოვნაში მისაბაძ ეტალონად.

უდროოდ წავიდა ჩვენგან შრომისუნარიანი, იუმორის გრძნობით დაჯილდოებული, პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება, რომელშიც შერწყმული იყო ყველა საუკეთესო თვისება: შემწყნარებლობა, სიკეთე, პატიოსნება, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა. მან დატოვა 100-ზე მეტი მეტად სერიოზული სამეცნიერო ნაშრომი და რამდენიმე მონოგრაფია. ჭეშმარიტად სიმბოლურია, რომ ათასსახიანმა სიკვდილმა საოპერაციო მაგიდიდან მოჰკვეთა სიცოცხლეს ბატონი გივი, იმ საოპერაციო მაგიდიდან წაიყვანა იგი, რომელზედაც ათეული წლების მანძილზე იბრძოდა სხვათა გადასარჩენად.

ღვთისნიერი მძიმე საერთო მდგომარეობის მიუხედავად, ბატონი გივის გარდაცვალებამ ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის თანამშრომლებში სულის სიღრმეში ჩამარხული, მიძინებული გლოვა გააღვიძა. ყველაზე ცუდი, რაც ადამიანს ღმერთმა არგუნა, სიკვდილია. იგი შლის და სპობს ყველაფერს თავის საშინელ გზაზე, მაგრამ ვერავითარი ძალა ვერ მოერევა თაყვანისცემისა და სასალბუნო გრძნობას, რომელსაც მოგონება ჰქვია. ბატონი გივის ცხოვრება, მისი პიროვნული ღირსებები და ღვაწლი ქართული ონკოლოგიის ისტორიაში ნარუშელია.

კოლეგები და ახლობლები თავს ხრიან მისი ხსოვნის წინაშე. ხსოვნა კი ამაღლებს მას თითქოსდა ყოვლისშემძლე სიკვდილზე.

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო; პროფ. ა. ლვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრი; პროფ. კ. ვეფხვაძის სახელობის ონკოლოგიის რესპუბლიკური სამეცნიერო საზოგადოება.

ჩოგანი

13 ივლისი. ფოთი. ცენტრალური სტადიონი. 6000 მაყურებელი. „ინტერტოტოს თასის" გათამაშების პირველი ეტაპის (XII ჯგუფი) მატჩი. „კოლხეთი-1913" (საქართველო) — „გენგამი" (საფრანგეთი) 1:3 (0:1).

„კოლხეთი-1913": გოგუა, მიქაბერიძე (ბულუხია), ქუნთელია (ღლანიძე), ხუჯაძე, ქობულაძე, თიბილაშვილი (კაპიტანი), ამბიძე, გაბოკიძე, სოლოლაშვილი, გაბისონია, ტორჩინავა (ნინიაშვილი).

„გენგამი": ჰიუგესი, გოულინი, დასპალესი, ჟოზვეიკი, მიხალი, კლოუდი (კაპიტანი), ასადურიანი (რეი), ბარეტი, მორეირა (ლუკონტა), ქარნოთი, ორლავილი (კელორანი).

მთავარი მწვრთნელი ფრანსის სმერეცკი.

მსაჯები: ბუტენკო, სოროკინი, მოროზოვი (სამივე რუსეთი).

სათადარიგო მსაჯი: კახიანი (საქართველო).

უეფას დელეგატი: ნამოღლუ (თურქეთი).

გოლები: ქარნოთი (22-ე წთ), ბარეტი (59-ე წთ), ორლავილი (64-ე წთ), ამბიძე (73-ე წთ).

გაფრთხილება: გოულინი, ორლავილი.

როცა ძალები უთანაბროა

მატჩამდე

სტუმრებმა უკანასკნელი სამი სეზონის მანძილზე ძლევამოსილი მარში განახორციელეს საშინაო ფრონტზე, ეროვნული ჩემპიონატის მესამე ლიგიდან უმაღლეს დივიზიონამდე აღზევდნენ, იქ დებიუტანტისათვის და 20-ათასიანი ქალაქის გუნდისათვის საპატიო მეცხრე ადგილი დაიკავეს და ქვეყანას უკვე საერთაშორისო სარბიელზე წარმოადგენენ.

ფრანგები თბილისში პარასკევს ჩამოფრინდნენ, ღამე „მეტეხში" გაათიეს, შაბათს ნაშუადღევს სენაკის აეროპორტში დაეშვნენ და თამაშამდე ორი საათით ადრე ფოთის განახლებულ სტადიონზე გამოჩნდნენ.

აღსანიშნავია, რომ მათ შორის ტყავის ბურთის ერთ ფერადკანიან ოსტატსაც კი ვერ ნახავდით. ეს კი ფრანგული (და არამარტო ფრანგული) ფეხბურთის თანამედროვე ვაგზოტიკურების ფონზე ღამის დაუჯერებელ ფაქტად მივიჩნიეთ.

ფოთელები ამ შეხვედრასაც მთავარი მწვრთნელის გარეშე შეხვდნენ და როგორც შევიტყვეთ, წინადღით წესიერად არც კი უვარჯიშიათ. ფინეთში გამართული მატჩისგან განსხვავებით, მათ სასტარტო შემადგენლობაში კაკაჩია ქუნთელიამ შეცვალა, მიქაბერიძემ თავდასხმაში გადაინაცვლა და გაბისონიასათვის უნდა აება მხარი, მიშველიძისა და ყულეჯიშვილისათვის კი განაცხადში ამჯერადაც არ მოინახა ადგილი.

მატჩი

მშობლიურ ქალაქში გამართული ეს პირველი, ისტორიული საერთაშორისო ოფიციალური შეხვედრა, პაპანაქება სიცხის მიუხედავად, ფოთელებმა ენერგიულად დაიწყეს.

ჯერ იყო და, ქუნთელიამ მეიერილენ უზუსტოდ შეასრულა შორეული დარტყმა, მალე მიქაბერიძე დრიბლინგით გასცდა მეურვეს, მარჯვენა ფრთიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში და ოდნავი შეყოვნებით მცველებს ბურთის კუთხურზე მოგერიების საშუალება მისცა...

მასპინძელთა შეტევებს უნარიანად უმკლავდებოდნენ სოლოლაშვილი და ამბიძე, გაბოკიძის რამდენიმე „სოლომ" კი ტრიბუნებზე აღტაცება გამოიწვია (მაყურებლებთან დაკავშირებით დავძენთ, რომ ისინი, რატომღაც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სამარისებური სიჩუმით რეაგირებდნენ მოვლენებზე. სხვათა შორის, „კოლხეთის" საქომაგოდ ფოთს მრავლად ეწვივნენ ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის მონაწილენი, მათ შორის „ბათუმის", „გურიის", „სამტრედიისა" და „მარგვეთის" ფეხბურთელები და ამ კლუბების წარმომადგენლები.

ამასობაში „გენგამი" ვითარებაში გაერკვა და უცებ აღმოაჩინა „კოლხეთის" სუსტი ადგილი — დაცვის მარცხენა ფრთა, საიდანაც გამოკოჭხებული ასადურიანი პარტნიორების დახმარებით გამუდმებით უქმნიდა ხიფათს გოგუას კარს. ამის მიზეზი კი ადვილი მისახვედრი იყო — გაბოკიძე რამდენადაც აქტიურად მონაწილეობდა თანაგუნდელთა იერიშებში, იმდენად უხალისოდ ბრუნდებოდა უკანა ხაზის დასახმარებლად, რითაც გადაუჭრელი პრობლემები ექმნებოდა ტორჩინავას.

რამდენჯერმე გოგუამ იყოჩაღა, ერთხელ მასთან პირისპირ გასულმა ორლავილმა დარტყა არაზუსტად, მაგრამ გოლი მომწიფდა და 22-ე წუთზე მოსახდენი მაინც მოხდა — ასადურიანის ჩაწოდებულ ბურთს მაღლა ნახტომში შესწვდა ქარნოთი და ლამაზი თავურით „ცხრიანში" გაახვია.

ამის შემდეგ თამაშის სცენარი არ შეცვლილა — უკეთესი ფიზიკური მომზადებით, პრესინგით, ზუსტი დაზღვევებით, მაღალი ინდივიდუალური ოსტატობითა და ფრანგული ფეხბურთისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი კომპონენტებით „გენგამი" საფინალო სასტვენამდე ფლობდა ინიციატივას და ყველაფერი ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა. ჩვენ მოკლედ მხოლოდ შესვენების შემდეგ გატანილ გოლებზე შევჩერდებით.

59-ე წუთი: სწრაფი სამსვლიანი კომბინაციით მეკარესთან პირისპირ დარჩენილი ბარეტი ანგარიშს ზრდის დაბალ კუთხეში ზუსტი დარტყმით. 64-ე წუთი: მორიგი სამსვლიანი შეტევა, ჩაწოდება ფლანგიდან და ორლავილი ეფექტური თავურით ბურთს ახლო კუთხეში გზავნის (ამ გათამაშებაში ფოთელებმა უკვე 8 ბურთი გაუშვეს, აქედან 5(!) — თავით). 73-ე წუთი: სოლოლაშვილი საჯარიმოს წინ ატყუებს მეტოქეს, მისი გადაცემის შემდეგ ბულუხია ატარებს ბურთს და ამბიძეს ახლოდან პრესტიჟის გოლი გააქვს — 1:3. პოტა [illegible] ძის გარღვევის შემდეგ თავით ბურთი ოდნავ გადააცილა ჰიუგესის კარის ზედა ძელს. ეს იყო და ეს.

ამრიგად, უფრო ძლიერმა დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. 20 ივლისს „კოლხეთი" რუმინეთში დასკვნით შეხვედრას გამართავს ბუქარესტის „დინამოსთან", რომელსაც ასევე სამი წაგება აქვს.

გია პლატონიშვილი,
გია ტუხაშვილი,
„სრ" სპეც კორ.

• • •

სურათზე: შეტევაზეა გოგა გაბოკიძე.

ვარლამ გენგიურის ფოტო.

ხვალ გაიმართება უეფას თასის გათამაშების შესარჩევი ეტაპის პირველი მატჩები:

თბილისში:
„დინამო"-„გრევენმახერი" (ლუქსემბურგი), 20.00.
მალტაზე:
„სლიმა"-„მარგვეთი".

საქართველოს პროკურატურის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს პროკურორ ოთარ ნიკოლაიშვილს მამის, ცნობილი იურისტის

ოთარ ნიკოლაიშვილის

გარდაცვალების გამო.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონული კონტროლის პალატის კოლექტივი თანაუგრძნობს აპარატის უფროსს ვანო რამიშვილს მამის

გიორგი რამიშვილის

გარდაცვალების გამო.

მორიგე რედაქტორი გონდო მძინარაშვილი.

გამომცემელი-შპს „პრესა"
რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66434. ტელ.: 99-73-24.
სარედაქციო კოლეგია.